ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი

მაია კიკვაძე, დიანა ახვლედიანი

ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები

(ნაწილი პირველი)

გამომცემლობა
„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
ბათუმი – 2013

UDC(უაკ) 811.353.1'27
კ-498

წიგნის მიზანია უცხოელთათვის ქართულ ენაზე საკომუნიკაციო ჩვევების, სხვადასხვა ტიპურ სიტუაციაში ქართული ენის პრაქტიკული გამოყენების ელემენტარული უნარების გამომუშავება. მისი შესწავლის შემდეგ უცხოელი შეძლებს ქართულ ენაზე მარტივი ფრაზებით სათქმელის ლოგიკურად გამართვას და ჩამოყალიბებას, მოვლენებისადმი საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვას, ქართულ გარემოში როგორც ზეპირ, ისე წერილობით კომუნიკაციას.

რედაქტორი: **მამია ფაღავა** - პროფესორი

რეცენზენტები: **მზია ხახუტაიშვილი** - ფილოლოგიის დოქტორი
ლილე თანდილავა - ასოც. პროფესორი

ISBN 978-9941-434-50-1
© „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ – 2013

შინაარსი (სარჩევი)

I თემა. ინფორმაცია პიროვნების შესახებ

1. ზმნათა უღლება: ახლანდელი დრო 6
2. „ვინ“ და „რა“ ჯგუფის არსებითი სახელები და მათი გამოყენება 7
3. ტექსტები: ავტობიოგრაფია, ჩემი ოჯახი, დიალოგები 7
4. სიტუაციური სავარჯიშოები 7

II თემა. კუთვნილების გამოხატვა ქართულში

1. პირისა და კუთვნილებითი ნაცვალსახელების სისტემა 10
2. „ც“ ნაწილაკი და მისი გამოყენება 12
3. -ში, -ზე თანდებულების მეშვეობით ადგილმდებარეობის გამოხატვა 12
4. საკუთარი და სხვისი მონაცემების გადმოცემა 14
5. დიალოგი; სიტუაციური სავარჯიშოები 15

III თემა . კითხვის დასმა

1. კითხვითსიტყვიანი წინადადებები 19
2. კითხვითი წინადადებები კითხვითი სიტყვის გარეშე 19
3. კითხვითი სიტყვისა და ზმნის ადგილი წინადადებაში 19
4. კითხვითი სიტყვა და ,,არის'' ზმნის შემოკლებული ფორმა 19
5. ტექსტები, დიალოგები, სიტუაციური სავარჯიშოები 20

IV თემა. „არის“ ზმნის დროის ფორმები (ახლანდელი, წარსული, მომავალი, წარსული შედეგობითი)

1. ახლანდელი დროის ფორმები 24
2. წარსული დროის ფორმები 24
3. მომავალი დროის ფორმები 25
4 წარსული შედეგობითი ფორმები 25
5. ზმნიზედები და მათი გამოყენება ზმნებთან 25
6. დიალოგები, სიტუაციური სავარჯიშოები 26

V თემა - დროის მითითება

1. დღის, საათის, თარიღის დასახელება 29
2. ,,როდის '' კითხვითი სიტყვის სავარაუდო პასუხები 29
3. დიალოგები და სიტუციური სავარჯიშოები 31
4. სახელობითი, მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვის ფორმებით შედგენილი კონსტრუქციები 32

VI თემა - ქონა-ყოლის გამომხატველი ზმნები ქართულში

1. სულიერი და უსულო არსებითი სახელების გამოყენება „ქონა-ყოლის“ ზმნებთან 34
2. გამონაკლისების ანალიზი 34
3. „ქონა-ყოლის“ ზმნების დროის ფორმები 34
4. ტექსტები, დიალოგები, სიტუაციური სავარჯიშოები 35

VII თემა - სასურველი მოქმედების გამოხატვა ქართულში

1. ,,მინდა'' ზმნის უღლება 39
2. “ნეტავ“ ნაწილაკის გამოყენება ნატვრის გამოსახატავად 39
3. „მქონდეს“, ,,მყავდეს'' ზმნების ირეალური მოდალობის გამომხატველი რთული კონსტრუქციის აგება (რომ მქონდეს...., რომ მყავდეს...რას ვიზამდი? რას გავაკეთებდი?) 40
4. ტექსტები, დიალოგები, სიტუაციური სავარჯიშოები 40

VIII ,,ვიცი” ზმნა და მისი უღლება

1. ,,ვიცი” ზმნის დროის ფორმები და სასურველი მოქმედებიგამოხატვა 44
2. კონსტრუქციების აგება ,,ვიცი” ზმნის მეშვეობით 44
3. სახელთა ბრუნვის ფორმები ,,ვიცი” ზმნის კონსტრუქციებში 45
4. ტექსტები, დიალოგები, სიტუაციური სავარჯიშოები 45

IX. ,,თქმა “ ზმნა და მისი უღლება
1. ,,თქმა” ზმნის დროის ფორმები და სასურველი მოქმედების გამოხატვა 49
2. კონსტრუქციების აგება ,,თქმა” ზმნის მეშვეობით 49
3. სახელთა ბრუნვის ფორმები ,,თქმა” ზმნის კონსტრუქციებში 50
4. ტექსტები, დიალოგები, სიტუაციური სავარჯიშოები 51
X. სურვილის, შესაძლებლობისა და აკრძალვის გამოხატვა ქართულში
1. ,,არ”, ,,ვერ” და ,,ნუ” ნაწილაკთა სისტემა 55
2.ზმნის პირის ნიშანთა სისტემა ქართულში 55
3. ნომინატიურ-ერგატიული კონსტრუქციები და მათი გამოყენება 57
4. ტექსტები, დიალოგები, სიტუაციური სავარჯიშოები 58
XI. თავაზიანობის გამოხატვა
1. თავაზიანობის გამომხატველ ფორმათა სისტემის ანალიზი და მათი ფუნქციური გამოყენება 62
2. საპასუხო ფორმები თავაზიან მიმართვაზე 62
3. წოდებითი ბრუნვის ფუნქცია და მიმართვის ფორმები ქართულში 63
4. ნომინატიურ-ერგატიული კონსტრუქციები და მათი შეპირისპირებითი ანალიზი 64
5. ტექსტები, დიალოგები, სიტუაციური სავარჯიშოები 65
XII. მთქმელის პოზიცია
1. სუბიექტური და ობიექტური წყობის ზმნები და მათი კონსტრუქციები 67
2. ,,მეუბნება-ვეუბნები” ზმნების ფორმათა ფუნქციური ანალიზი და გამოყენება 68
3. ნომინატიურ-ერგატიული კონსტრუქციები და მათი შეპირისპირებითი ანალიზი 68
4. ტექსტები, დიალოგები, სიტუაციური სავარჯიშოები 69
XIII. ნათქვამის გამეორება
1. პირდაპირი და ირიბი ნათქვამი 72
2. კონსტრუქციები სხვადასხვა შინაარსობრივი მნიშვნელობის გადმოსაცემად 72
3. სხვათა სიტყვის გამომხატველ ნაწილაკთა სისტემა და მისი გამოყენება 72
4. ,,ჯერ” ნაწილაკით განმეორებითი მოქმედების გამოხატვა 73
5. ნომინატიურ-ერგატიული კონსტრუქციები და მათი შეპირისპირებითი ანალიზი 73
6. ტექსტები, დიალოგები, სიტუაციური სავარჯიშოები 74
XIV. გადაადგილება-სვლისა და მიმართულების გამოხატვა ქართულში
1. გადაადგილება-სვლისა და მიმართულების გამომხატველი ზმნები 77
2. ზმნისწინი და მისი ფუნქციები მიმართულების გამოხატვაში 78
3. -თან თანდებული და მისი მეშვეობით შედგენილი კონსტრუქციების ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი 79
4. ნომინატიურ-ერგატიული კონსტრუქციები და მათი შეპირისპირებითი ანალიზი 80
5. ტექსტები, დიალოგები, სიტუაციური სავარჯიშოები 81
XV.უარყოფის ფორმები ქართულში
1. უარყოფის ფორმათა სისტემური ანალიზი 84
2. ვალდებულებისა და მოვალეობის მოდალობის გამოხატვა 85
3. ნომინატიურ-ერგატიული კონსტრუქციები და მათი შეპირისპირებითი ანალიზი 85
4. ტექსტები, დიალოგები, სიტუაციური სავარჯიშოები 86

საჭირო ფრაზები 89

გამოყენებული ლიტერატურა 97

წინასიტყვაობა

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამამ (აზერბაიჯანულენოვანთათვის / სომხურენოვანთათვის...) მუშაობა დაიწყო ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საფუძველზე (2009 წლის 17 ნოემბერი, N 2078, მე-2 მუხლის გ ქვეპუნქტი- ,,ჰ 35“ ქვეპუნქტი).

სასწავლო კურსი ,,**ენის კომუნიკაციური ასპექტები**” (ნაწილი პირველი) ემსახურება აღნიშნული პროგრამის განხორციელებას: განკუთვნილია სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთათვის (სომხები, აზერბაიჯანელები, თურქები...), რომლებიც სახლობენ საქართველოში, ან გარკვეული მიზნით ჩამოდიან ჩვენთან და სურვილის თუ აუცილებლობის გამო ეუფლებიან ქართულ ენას.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამამ განხორციელება დაიწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. პროგრამის ხელმძღვანელია ასოც. პროფ. კ. გაბუნია, კოორდინატორი – სრული პროფესორი რამაზ ქურდაძე, პროგრამასა და სილაბუსებზე მუშაობდნენ: დ. თვალთვაძე, გ. შაბაშვილი, ქ. გოჩიტაშვილი, ნ. შარაშენიძე, ნ. შავთვალაძე, რ. ზექალაშვილი, მ. ნიკოლაიშვილი. აღნიშნული სახელმძღვანელოს შექმნისას ვხელმძღვანელობდით მათგან მიღებული სასარგებლო რჩევებითა და რეკომენდაციებით, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ მათ. სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან თანამშრომლობით, გამოცდილების გაზიარებით პროგრამა მუშაობს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც. პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ:
მ. კიკვაძე (ხელმძღვანელი), ნ. ცეცხლაძე, მ. ბარამიძე, ნ. ფარტენაძე, დ. ახვლედიანი, ლ. ბერიძე, ე. ბერიძე.

სასწავლო კურსი გამოადგება ზოგადად ქართული ენის შესწავლით დაინტერესებულ ყველა უცხოელს. კურსის გავლის შემდეგ უცხოელმა უნდა შეძლოს ზეპირი თუ წერილობითი კომუნიკაცია, ტექსტების გაგება-გააზრება, ასევე მათი შედგენა, აუდიტორიის წინაშე ზეპირი გამოსვლა თუ პრეზენტაცია.

,,ენის კომუნიკაციური ასპექტები“ (ნაწილი პირველი) დაეხმარება უცხოელს მიღებული ცოდნა გამოიყენოს განსხვავებულ საგნებსა და განსხვავებულ კონტექსტში.

ასოც. პროფესორი **მ. კიკვაძე;**
მეცნიერებათა კანდიდატი **დ. ახვლედიანი**

I თემა

ინფორმაცია პიროვნების შესახებ

ინფორმაციას გვაწვდის პირველი პირი. ამ დროს ტექსტში გამოიყენება ზმნები: **ვარ, მყავს, ვცხოვრობ, ვსწავლობ, მიყვარს ...**

მე **ვარ** ჰაიასტან გინოსიანი, წარმოშობით - სომეხი, **ვცხოვრობ** საქართველოში, ახალქალაქში. ჩემი მშობლები საქართველოში დაბადებულები **არიან. მყავს** სამი და. ამჟამად **ვცხოვრობ** ბათუმში, **ვსწავლობ** ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქართულ ენაში მომზადების ერთწლიან პროგრამაზე. ქართული ენის სათანადოდ შესწავლის შემდეგ სწავლა მინდა გავაგრძელო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მე **მიყვარს** საქართველო და ჩემი ქალაქი .

1. **ზმნათა უღლება:**

ახლანდელი დრო

მხოლობითი	**მრავლობითი**
მე **ვ**-არ	ჩვენ **ვ**-არ-**თ**
შენ **ხ**-არ	თქვენ ხ-არ-**თ**
ის არი-**ს**	ისინი არი-**ან**
მე **ვ**-ცხოვრობ	ჩვენ **ვ**-ცხოვრობ-**თ**
შენ ცხოვრობ	თქვენ ცხოვრობ-**თ**
ის ცხოვრობ-**ს**	ისინი ცხოვრობ-**ენ**
მე **ვ**-სწავლობ	ჩვენ **ვ**-სწავლობ-**თ**
შენ სწავლობ	თქვენ სწავლობ-**თ**
ის სწავლობ-**ს**	ისინი სწავლობ-**ენ**

მაგრამ

მე **მ**-იყვარ -**ს**	ჩვენ **გვ**-იყვარ-**ს**
გ-იყვარ-**ს**	თქვენ **გ**-იყვარ-**თ**
მას უყვარ-**ს**	მათ უყვარ-**თ**
მე **მ**-ყავ-**ს**	ჩვენ **გვ**-ყავ-**ს**
შენ **გ**-ყავ-**ს**	თქვენ **გ**-ყავ-**თ**
მას **ჰ**-ყავ-**ს**	მათ **ჰ**-ყავ-**თ**

2. „ვინ“ და „რა“ ჯგუფის არსებითი სახელები და მათი გამოყენება:

ქართულ ენაში არსებით სახელებს დაესმის კითხვები: **ვინ? რა?** კითხვა **ვინ?** დაესმის მხოლოდ ადამიანს, ყველა დანარჩენს (სულიერს და უსულოს) -**რა?**

ვინ? - ჰაიასტან გინოსიანი, სომეხი, მშობლები, და, აბიტურიენტი, მოქალაქე...

რა? - საქართველო, ახალქალაქი, ბათუმი, უნივერსიტეტი, ენა, პროგრამა, თბილისი, ქალაქი, ძროხა, ძაღლი, ცხენი...

3. ტექსტები:

ავტობიოგრაფია

მე, ჯიჰან სარიჩიჩექი, დავიბადე თურქეთის ქალაქ ორდუში, 1984 წლის 10 აპრილს.

1990-2002 წლებში ვსწავლობდი ჯერ ორდუს დაწყებით სკოლაში, შემდეგ ლიცეუმში.

2012 წელს ქართული ენის შესწავლის მიზნით ჩავირიცხე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოსამზადებელ კურსზე.

მყავს მშობლები და ორი და;

მამა -ახმედ ჯევათ სარიჩიჩექი -პენსიონერი;

დედა - მერიემ სარიჩიჩექი -პენსიონერი;

დები - ეშრა და ვილდამ სარიჩიჩექები;

ჩემი ოჯახი

ჩემი ოჯახი დიდია: ბაბუა, ბებია, დედა, მამა, მე, ჩემი და და ძაღლი ბონი. ბაბუა და ბებია პენსიონერები არიან, დედა დიასახლისია, მამა - ექიმი, მე და ჩემი და სტუდენტები ვართ. ბებია გემრიელ საჭმელებს ამზადებს, დედა ნამცხვრებს აცხობს. ბაბუა გაზეთებს კითხულობს, მამა ტელევიზორს უყურებს, მას უყვარს ფეხბურთი. ბონი სამი თვისაა. ის კალათში წევს და ისვენებს. საღამოობით ყველანი სახლში ვართ, სტუმრები მოდიან, ვსაუბრობთ, მუსიკას ვუსმენთ, ვერთობით. ჩვენთან ყოველთვის მხიარულებაა.

მე ძალიან მიყვარს ჩემი ოჯახი.

4. სიტუაციური სავარჯიშოები;

1. ზემოთ მოცემულ ტექსტში ,,ჩემი ოჯახი'' მოძებნეთ ვინ და რა ჯგუფის სახელები და განათავსეთ ცხრილში!

ვინ?	რა?

2. აღნიშნული ტექსტის მიხედვით უპასუხეთ, რომელია სწორი და არასწორი?

	სწორია	**არასწორია**
1.ჩემი ოჯახი პატარაა.		✓
2.ჩემს ძაღლს ბონი ჰქვია.		
3.დედა ექიმია.		
4.მამა მასწავლებელია.		
5. ბებია და ბაბუა პენსიონერები არიან.		
6. მე სტუდენტი ვარ.		
7. ჩემი და 5 წლისაა.		
8. ჩვენთან სტუმრები არ მოდიან.		
9. მამას არ უყვარს ფეხბურთი.		
10. ჩვენ ვუსმენთ მუსიკას.	✓	

ოჯახში

დღეს ორშაბათია. მამა სამსახურშია. იგი ტელეფონით სახლში რეკავს. დედა სახლს ალაგებს. ბაბუა მისაღებ ოთახშია. იგი რადიოს უსმენს. ბებია სამზარეულოშია, სადილს ამზადებს. ბებიას სათვალე ბაბუამ აიღო. ნინო ოთახში წიგნს კითხულობს. მაგიდაზე გაზეთები და ტელეფონი დევს.

დიალოგები: 1

-ვინ აიღო ბებიას სათვალე?
-სათვალე ბაბუამ აიღო.
-ვინ რეკავს?
-მამა რეკავს.
-რა არის მაგიდაზე?
-მაგიდაზე არის გაზეთები და ტელეფონი.
-ბებია სად არის?
-ბებია სამზარეულოშია.

დიალოგი-2

-რა დღეა დღეს?
-დღეს ორშაბათია.
-ვინ კითხულობს წიგნს?
-ნინო წიგნს კითხულობს.
-ვინ არის ოთახში?
-ოთახში ნინოა.
-რას უსმენს ბაბუა?
-ბაბუა რადიოს უსმენს.

ისაუბრეთ თქვენი ოჯახის შესახებ

დაიხსომეთ ფრაზები:

- ენა საკომუნიკაციო საშუალებაა.
- ენის საშუალებით ადამიანები ერთმანეთს აგებინებენ.
- ენა დედასავით საყვარელია.
- რამდენი ენა იცი, იმდენი კაცი ხარ.
- ქართული ჩემთვის მეორე ენაა.

II თემა: კუთვნილების გამოხატვა ქართულში

1. პირისა და კუთვნილებითი ნაცვალსახელების სისტემა

ნაცვალსახელი არის მეტყველების ნაწილი, რომელიც გამოიყენება არსებითის, ზედსართავის და რიცხვითი სახელის ნაცვლად. იგი სახელის ნაცვალია.

პირი სამია ქართულში: **პირველი, მეორე, მესამე.**

პირის ნაცვალსახელებია: **მე,შენ, ის, ჩვენ, თქვენ, ისინი.**

პირველი	მეორე	მესამე
მე, ჩვენ	**შენ, თქვენ**	**ის, ისინი**

პირის ნაცვალსახელებისგან მიიღება კუთვნილებითი ნაცვალსახელები.

კუთვნილებითი ნაცვალსახელებია: **ჩემი, შენი, მისი, თავისი, ჩვენი, თქვენი მათი, თავიანთი;**

პირველი	მეორე	მესამე
ჩემი, ჩვენი	**შენი, თქვენი**	**მისი, მათი/იმათი**

ეს **მე** ვარ - ეს **ჩემი** დედაა; ეს **ჩვენ** ვართ - ეს **ჩვენი** ქალაქია;

ეს **შენ** ხარ - ეს **შენი** დედაა; ეს **თქვენ** ხართ -ეს **თქვენი** სამშობლოა;

ეს **ის** არის - ეს **მისი** დედაა. ეს **ისინი** არიან - ეს **მათი** უნივერსიტეტია;

დაიხსომეთ!

ჩემი დედა ექიმია// **დედაჩემი** ექიმია.

-შენი დედა მასწავლებელია?// **დედაშენი** მასწავლებელია?

-არა, **დედაჩემი** დიასახლიასია.

- მისი დედა დიასახლისია? //**დედამისი** დიასახლისია?

-არა, **დედამისი** მასწავლებელია.

დიალოგი-1.

-გამარჯობა, **შენ ვ**ინ ხარ?

-გაგიმარჯოს, **მე** გიორგი ვარ.

-ის ვინ არის?

-ის **ჩვენი** კურსელია, ნინო.

-**თქვენ** აქაურები ხართ?

-დიახ, **ჩვენ** აქაურები ვართ.

-**ისინი** პოლონელები არიან?
-დიახ, **ისინი** პოლონელები არიან.
-ეს **მათი** უნივერსიტეტია?
-არა, ეს **ჩვენი** უნივერსიტეტია.

დიალოგი-2.
-**შენი** დედა დიასახლისია?

-**თქვენ** უცხოელები ხართ?

-**მე** მასწავლებელი ვარ?

-თქვენ ბათუმში სწავლობთ?

-**ის** თურქი სტუდენტია?

აღწერეთ სურათი, გამოიყენეთ პირისა და კუთვნილებითი ნაცვალსახელები

2. „ც“ ნაწილაკი და მისი გამოყენება

-ც ნაწილაკი დაერთვის სიტყვას. მაგალითად: **მეც, ჩვენც, ისიც, ისინიც, დედაც, მამაც, სტუდენტებიც...**

დღეს დედა სავაჭრო ცენტრში მიდის და **მეც** მივდივარ.

ნინოს მამა მასწავლებელია. ჩემი **მამაც** მასწავლებელია. ბათუმი საქართველოს ქალაქია, ქუთაისიც საქართველოს ქალაქია; ეს ბიჭიც თურქია, **ისიც** ამ უნივერსიტეტში სწავლობს.

3. -ში -ზე თანდებულების საშუალებით ადგილმდებარეობის გამოხატვა

-ში და -ზე თანდებულებია. ისინი დაერთვის **მიცემით ბრუნვას** და აღნიშნავს ადგილმდებარეობას. **კერძოდ: ა) -ში** აღნიშნავს შიგმყოფობას: **ოთახ-ში, სახლ-ში, აუდიტორია -ში, კარადა-ში....**

ბ) -ზე აღნიშნავს მდებარეობას ზედაპირზე: **მაგიდა-ზე, სკამ-ზე, მერხ-ზე, მთა-ზე, თეფშ-ზე...**



დაიხსომეთ!

-ზე და **-ში** თანდებულების დართვისას მიცემითი ბრუნვის ნიშანი **-ს** იკარგება.

შეცდომაა: სახლსში, წიგნსში, მაგიდასზე, სკოლასში.

ტექსტი

დღეს კარგი ამინდია. მოხუცები **აივანზე** არიან, ახალგაზრდები - **ეზოში.** სტუდენტები **ზეიმზე** მიდიან. ბავშვები **მინდორში** ბურთს თამაშობენ.

ეს ჩვენი სკოლაა. **სკოლაში** დიდი ოთახებია. **ოთახში** მერხები, მაგიდები და სკამებია. **მაგიდაში** მასწავლებლის ნივთებია. **კედელზე** დაფა, რუქა და სურათებია.

სიტუაციური სავარჯიშოები:

ცარიელ ადგილებში ჩასვით შესაბამისი თანდებულები:

1. აუდიტორია---------- ბევრი სტუდენტია.
2. კედელ------ დაფა, რუკა და სურათია.
3. უნივერსიტეტ------სტუმრები არიან.
4. სოფელ---- სუფთა ჰაერია.
5. მაგიდა----- თეფში, ჭიქა, დანა და ჩანგალია.
6. რუსუდანი თბილის------ ცხოვრობს, ის უნივერსიტეტ----- სწავლობს.
7. ჩემი ძმა ახლა სახლ------ არ არის, კინო---------.

აღწერეთ სურათი, გამოიყენეთ თანდებულები!

4. საკუთარი და სხვისი მონაცემების გადმოცემა

1. **საკუთარი = მე**
2. **სხვისი = შენ; ის**

საკუთარი მონაცემები

მე ვარ დავით ბერიძე, 17 წლის. დავიბადე და ვცხოვრობ ბათუმში. ვსწავლობ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მათემატიკის სპეციალობაზე. ვარ მაღალი, სუსტი. მიყვარს სპორტი, მუსიკა და სეირნობა.

სხვისი მონაცემები

მაგდალენა პოლონელია. ის 18 წლისაა. დაიბადა ვარშავაში. სკოლა იქვე დაამთავრა და ჩააბარა მისაღები გამოცდები უნივერსიტეტში, ტურიზმის სპეციალობით. ამჟამად მაგდალენა გაცვლითი პროგრამით სწავლობს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ტურიზმის სპეციალობაზე. იგი ქერა და სიმპათიური გოგონაა. უყვარს მეგობრები, სპორტი და ხელოვნება.



5. დიალოგი

-შენ რამდენი წლის ხარ?

-სად დაიბადე?

-ბათუმში ცხოვრობ?

-რომელ სპეციალობაზე სწავლობ?

-რა არის შენი ჰობი?

სიტუაციური სავარჯიშოები:

ტექსტის მიხედვით მიუთითეთ რომელია სწორი და არასწორი

დავით ბერიძე 17 წლისაა.	სწორია
დავითი ვარშავაში ცხოვრობს.	
დავითი მაღალი და სუსტია.	
მაგდალენა პოლონელია.	
ის სწავლობს მათემატიკის სპეციალობაზე.	
მაგდალენას არ უყვარს მუსიკა.	
დავითი ქართველია.	
დავითი და მაგდალენა ერთ კურსზე სწავლობენ.	







დააკავშირეთ!

პოლონეთი	თბილისი
საქართველო	ქართული
ლარი	ევრო
ზლოტი	ვარშავა
თურქეთი	ლირა
ევროპა	პოლონური

დაიხსომეთ ფრაზები:

1. საქართველო ლამაზი ქვეყანაა.
2. თბილისი საქართველოს დედაქალაქია.
3. ბათუმი პატარა, ლამაზი ქალაქია.
4. ბათუმი საზღვაო ქალაქია.
5. საქართველოში ქართველები ცხოვრობენ.

III თემა
კითხვის დასმა

თხრობითი ინტონაციის წინადადების შეცვლით ვღებულობთ კითხვით წინადადებას. მაგალითად, მე ექიმი ვარ → მე ექიმი ვარ? ქალბატონი ნანა ჩვენი ქართული ენის მასწავლებელია→ქალბატონი ნანა ჩვენი ქართული ენის მასწავლებელია?

კითხვითი წინადადება შეიცავს კითხვას. იგი ორგვარია: **კითხვითსიტყვიანი და კითხვითი სიტყვის გარეშე** (უკითხვითსიტყვო).

1. კითხვითსიტყვიანი წინადადებები:

კითხვითი სიტყვებია: ვინ? რა? რომელი? როგორი? სად? როდის? რატომ? რისთვის? ვისთვის?

-**ვინ** ხარ შენ?
-მე ვარ სტუდენტი.
-**რა** დღეა დღეს?
-დღეს ოთხშაბათია.
-**რომელი** საათია?
-12 საათია.
-**როგორი** ამინდია?
-დღეს წვიმიანი ამინდია.
-**სად** არის უნივერსიტეტი?
-უნივერსიტეტი ნინოშვილის ქუჩაზეა.

-**როდის** მიდიხარ თურქეთში?
-ერთ კვირაში მივდივარ.
-**რატომ** ხარ ბათუმში?
-იმიტომ, რომ აქ ვსწავლობ.
-**რომელ** ენას სწავლობ?
-მე ვსწავლობ ქართულ ენას.
-**ვისთვის** გინდა ეს წიგნი?
-ჩემი ამხანაგისთვის.
-**რისთვის** ემზადები?
-გამოცდისთვის.

2. კითხვითი წინადადებები კითხვითი სიტყვის გარეშე

ზოგჯერ წინადადებაში არ არის კითხვითი სიტყვა და მის მაგივრობას ასრულებს ინტონაცია. ასეთ წინადადებებში მახვილი მოდის ზმნის ბოლო მარცვალზე. მაგალითად: ჰაიასტანი მოვი**და**? ექიმმა წამალი მოიტა**ნა?** ახალი წელი მალე მო**ვა**? დღეს დასვენება**ა**?

3. კითხვითი სიტყვისა და ზმნის ადგილი წინადადებაში

კითხვითი სიტყვა უმეტესად იწყებს წინადადებას.

ა) **ზმნა მოსდევს კითხვით სიტყვას: ვინ ხსნის** ლექციას? **რა მოგიტანა** მამამ საჩუქრად? **როდის მოფრინავენ** მერცხლები? **სად არის** 55-ე აუდიტორია?

ბ) **კითხვით სიტყვასა და ზმნას შორის სხვა წევრია: რომელ** საათზე **საუზმობ? რომელი** ყვავილი **იშლება** გაზაფხულზე? **რომელ** საათზე **იღვიძებთ?**

4. კითხვითი სიტყვა და „არის" ზმნის შემოკლებული ფორმა

ვინ არის? → **ვინაა?** რა არის? → რაა? როგორი არის? → როგორია? სად არის→ სადაა?
როდის არის→ როდისაა? საიდან არის? → საიდანაა? რომელი არის? →რომელია?

5. ტექსტი, დიალოგები, სიტუაციური სავარჯიშოები

წელიწადი

წელიწადში ოთხი დროა: გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი.

წელიწადში 12 თვეა: იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი.

როდის რა ხდება?

შობა -ახალი წელი დგება, თოვს და ყინავს	-
დედამიწა მწვანით იმოსება. მიწას ამუშავებენ	-
ცხელა. ზღვა ხალხითაა სავსე	-
სწავლა იწყება. ფოთლები ყვითლდება	-

ჩემი სამუშაო დღე

დილით რვა საათზე ვდგები, ხელს და პირს ვიბან, ვვარჯიშობ. ცხრა საათზე ვსაუზმობ, შემდეგ სახლიდან გავდივარ, ავტობუსში ვჯდები. ორი გაჩერების შემდეგ ჩავდივარ და უნივერსიტეტში მივდივარ. შუადღის შემდეგ, ოთხ საათზე მეცადინეობა მთავრდება და სახლში ვბრუნდები. ვსადილობ, შემდეგ ვმეცადინეობ. საღამოს ვვახშმობ, ამხანაგებთან ერთად ტელევიზორს ვუყურებ, გაზეთებსა და ჟურნალს ვკითხულობ. თორმეტ საათზე ვიძინებ.

-როდის იწყება შენი სამუშაო დღე?

-პირველად რას აკეთებ?

-რომელ საათზე საუზმობ?

-რით მიდიხარ უნივერსიტეტში?

-რომელ საათზე მთავრდება ლექციები?

-თავისუფალ დროს რას აკეთებ?

-რომელ საათზე იძინებ?

ტექსტის მიხედვით მიუთითეთ, რომელია სწორი და არასწორი?

დილით რვა საათზე ვდგები	სწორია
ცხრა საათზე ვვარჯიშობ	
უნივერსიტეტში ტაქსით მივდივარ	
ლექცია ოთხ საათზე მთავრდება	
ხუთ საათზე ფეხბურთზე მივდივარ	
სახლში ვბრუნდები და ვსადილობ	
საღამოს ვვახშმობ	
11 საათზე ვიძინებ	

წერილი დედას

გამარჯობა, დედა! როგორ ხარ? ძალიან მომენატრე! ვიცი, გაინტერესებს ჩემი ამბავი.

ბათუმი მომწონს. აქ კარგი უნივერსიტეტია. ვსწავლობ მოსამზადებელ კურსზე, უკვე ქართულადაც ვლაპარაკობ.

ჩემი სამუშაო დღე 11 საათზე იწყება და 4-5 საათამდე გრძელდება. მართალია, ვიღლები, მაგრამ კმაყოფილი ვარ. თავისუფალი დროც მაქვს. ვსეირნობ ზღვისპირა პარკში, ვერთობი.

ჩვენი მასწავლებლები ძალიან კეთილები არიან. მეხმარებიან, რომ ქართული ენა კარგად ვისწავლო.

მომიკითხე ოჯახის წევრები!

მომავალ შეხვედრამდე!

შენი ფატმა

დიალოგი

-ვის უგზავნის ფატმა წერილს?

-მოსწონს ფატმას ბათუმი?

-სად სწავლობს ფატმა?

-ფატმა ქართულად ლაპარაკობს?

-რომელ საათზე იწყება მისი სამუშაო დღე?

-როგორები არიან ფატმას მასწავლებლები?

-თავისუფალ დროს როგორ ერთობა ფატმა?

აღწერეთ სურათი კითხვითი სიტყვების გამოყენებით



დაიხსომეთ

ქვეყანა	ხალხი	ენა
საქართველო	ქართველი	ქართული
თურქეთი	თურქი	თურქული
სომხეთი	სომეხი	სომხური
აზერბაიჯანი	აზერბაიჯანელი	აზერბაიჯანული
რუსეთი	რუსი	რუსული
პოლონეთი	პოლონელი	პოლონური
ავსტრია	ავსტრიელი	გერმანული
ინგლისი	ინგლისელი	ინგლისური
საფრანგეთი	ფრანგი	ფრანგული
გერმანია	გერმანელი	გერმანული

დაიხსომეთ ფრაზები:

1. მე მიყვარს საქართველო და ქართული ენა.
2. ინგლისური საჭირო ენაა.
3. ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია.
4. რის შეკვეთა გნებავთ?
5. სიყვარული ალამაზებს ადამიანებს.
6. მეგობრობა საუკეთესო გრძნობაა.

IV თემა

„არის“ ზმნის დროის ფორმები

(ახლანდელი, წარსული, მომავალი, წარსული შედეგობითი)

არის	იყო	იქნება	ყოფილა
ახლა	გუშინ, გუშინწინ	ხვალ, ზეგ, მაზეგ	ადრე (გუშინ...

ახლანდელი დრო	წარსული დრო	მომავალი დრო	წარსული შედეგობითი
მე ვარ	მე ვიყავი	მე ვიქნები	მე ვყოფილვარ
შენ ხარ	შენ იყავი	შენ იქნები	შენ ყოფილხარ
ის არის	ის იყო	ის იქნება	ის ყოფილა
ჩვენ ვართ	ჩვენ ვიყავით	ჩვენ ვიქნებით	ჩვენ ვყოფილვართ
თქვენ ხართ	თქვენ იყავით	თქვენ იქნებით	თქვენ ყოფილხართ
ისინი არიან	ისინი იყვნენ	ისინი იქნებიან	ისინი ყოფილან

1. ახლანდელი დროის ფორმები:

- მე ახლა სახლში **ვარ,** ჩემი და კინოშია.
- გუშინ სოფელში იყავი? ახლა სად **ხარ?**
- ჩვენ ახლა ლექციაზე **ვართ?** თქვენ სად----------?
- ის მასწავლებელი ----------, ესენი მასწავლებლები არ ----------
- თქვენ სტუმრად **ხართ**, ისინი მასპინძლები ----------

2. წარსული დროის ფორმები:

- შაბათ-კვირას პარკში **ვიყავი.**
- შენ დღეს უნივერსიტეტში **იყავი?**
- ის გუშინ ავად ----------
- ჩვენ საღამოს თეატრში ----------
- თქვენ ჩვენთან **იყავით.**
- ისინი სასეირნოდ----------

3. მომავალი დროის ფორმები:

- ახლა სახლში არ ვარ, ერთ საათში **ვიქნები.**
- ის როდის ---------- ლექციაზე?
- ჩემს დაბადების დღეზე **იქნები?**
- ერთ კვირაში თურქეთში **ვიქნებით.**
- ისინი აქ **იქნებიან, თქვენ სად ----------?**

4. წარსული შედეგობითი ფორმები:

- გუშინ უნივერსიტეტში არ **ვყოფილვარ.**
- შენ **ჩემთან ----------,** ისიც **ყოფილა.**
- ბავშვობაში ჩვენ სუსტები ----------.
- **თქვენ ჩვენი ნათესავები ----------, ისინი არ----------.**

5. ზმნიზედები და მათი გამოყენება ზმნებთან.

ადგილის	**დროის**	**მიზეზის**	**მიზნის**	**ვითარების**
აქ, იქ, აქედან, იქიდან, ზევით, ქვევით, წინ, უკან,მაღლა, დაბლა,ირგვლივ	ახლა, ამ დროს, დღეს, ხვალ, ზეგ, გუშინ, გუშინწინ, მაზეგ, წელს, შარშან, გაისად, წინათ, დილას/დილით, საღამოს/საღამოთი, ღამე/ღამით, ადრე, გვიან...	რატომ, რისთვის,რა მიზეზით	რისთვის, რად, რა მიზნით, ვისთვის	როგორ, რანაირად, რა ვითარებაში...

- აქ ვარ. იქ ვიყავი. აქედან ვხედავ. იქიდან მოვდივარ. ზევით ავიდა. ქვევით ჩავიდა. წინ გაიხედა. უკან მოიხედა. მაღლა ასწია. დაბლა დაეშვა. ირგვლივ ტყეებია...
- ახლა წვიმს. ამ დროს უნივერსიტეტში ვარ. დღეს გამოცდა მაქვს. ხვალ თურქეთში მივდივარ. ზეგ სტუმრებს ველოდები. გუშინ კინოში ვიყავი. გუშინწინ ბიბლიოთეკაში ვმეცადინეობდი. მაზეგ დაბადების დღე მაქვს. წელს დიდი ზამთარი არ იყო. შარშან ცივი ზამთარი იყო. გაისად ანტალიაში დავისვენებ. წინათ ეს ვიცოდი. დილით ადრე ვდგები. საღამოს გვიან ვიძინებ. ღამით ტელევიზორს ვუყურებ. ადრე ასე არ ვფიქრობდი.
- ლექციაზე რატომ დაიგვიანე? რა მიზეზით წახვედი თურქეთში?
- რისთვის გინდა ფული? დაბადების დღისთვის საჩუქარს ვეძებ.
- გუშინ ძლიერ წვიმდა. რა ვითარებაში მოხდა ავარია?

წაიკითხეთ ტექსტი, გახაზეთ ზმნიზედები და გაარკვიეთ ჯგუფები!

მერცხალი

მერცხალი შინაური ფრინველია. იგი ჩვენ გვერდით ცხოვრობს. ჩვენს სახლებში აკეთებს ბუდეს და ჩვენ თვალწინ ზრდის შვილებს. მერცხალი ჩვენი სტუმარია, ყოველთვის სანატრელი და სასიამოვნო. გვატკბობს მისი ჭიკჭიკი. მის მოსვლას ველოდებით, რადგანაც გვამცნობს გაზაფხულის მოსვლას. მერცხალი დილიდან საღამომდე შრომობს, რათა ოჯახი გამოკვებოს. თუ ცხელი დღეა, იგი მაღლა ჰაერში დაქრის, ხოლო თუ ავდარია - დაბლა ეშვება. დადგება თუ არა შემოდგომა, მერცხალი თბილ ქვეყნებში წასასვლელად ემზადება.

6. დიალოგები, სიტუაციური სავარჯიშოები

დიალოგი-1.

-თამარ, სად ხარ?

-სახლში ვარ.

-დედა სახლშია?

-დედა სახლში არ არის, საავადმყოფოშია.

-გუშინ სამსახურში იყო?

-არა, ავად იყო, ხვალ, ალბათ, სამსახურში იქნება.

-შენ დღეს სკოლაში არ ყოფილხარ?

-არა, არ ვყოფილვარ, სიცხე მაქვს.

-ახლა როგორ ხარ?

-არა მიშავს, ხვალ უკეთ ვიქნები.

-ბებია და ბაბუა სოფელში არიან?

-ჰო, გუშინ სოფელში იყვნენ, ახლა ქალაქში არიან.

-რატომ დაბრუნდნენ?

-ბებია ექიმთან მიდის, შეუძლოდაა.

-ნახვამდის, თამარ!

-ნახვამდის.

დიალოგი-2.

-დღეს რა დღეა?

წელიწადის რომელი დროა?

აუდიტორიაში რამდენი სტუდენტია?

-როგორი ამინდია?

-როგორი ამინდი იქნება ხვალ?

-თბილისში ყოფილხართ?

-სკოლა როდის და სად დაამთავრეთ?

სავარჯიშო: გადაიყვანეთ წინადადებები წარსულ ან მომავალ დროში, გამოიყენეთ შესაბამისი დროის ზმნიზედები!

ნიმუში- დღეს მე აქ ვარ; გუშინ აქ ვიყავი; ხვალ აქ ვიქნები

1.ჩვენი მეგობრები ზღვაზე არიან ----------

2.მაღაზიაში ახალი ხორცია----------

3.შენ დღეს ჩვენი სტუმარი ხარ----------

4.დღეს მზიანი ამინდია----------

5.ამ საღამოს თეატრში საინტერესო სპექტაკლია----------

სავარჯიშო: მოიფიქრეთ 10 წინადადება და გადაიყვანეთ ერთი დროიდან მეორეში!

1.----------

2.----------

3.----------

4.----------

5.----------

6.----------

7.----------

8.----------

9.----------

10.----------

სიცხე

სითბო

სიგრილე

თოვლი

დაიხსომეთ ფრაზები:

1. უსწავლელი ადამიანი ცოდვაა.
2. სწავლა სიბერემდე შეიძლება.
3. წელიწადის ყველა დრო ლამაზია.
4. ვარდი ყვავილების დედოფალია.
5. მაისი ვარდობის თვეა.
6. შემოდგომაზე ფოთლები ყვითლდება.
7. თოვლი თეთრია, ზღვა-ლურჯი, მზე-წითელი.

დაასათაურეთ და აღწერეთ სურათი!

V თემა - დროის მითითება

1. დღის, საათის, თარიღის დასახელება

ორშაბათი → [ ] → ოთხშაბათი→ [ ] →

→პარასკევი → [ ] →კვირა

მიუწერეთ რომელი საათია?



...ს აკლია ....წუთი

..ის .....წუთია

.... ის ნახევარია

14.00- ორი საათია//ზუსტად ორია

10-10- ----------

21-40- ----------

12-30- ----------

13-45- ----------

14-05----------

დაიხსომეთ!

დროის მითითება

როდის ?	**რამდენ ხანში? რა დროში?**	**რამდენი ხნით? რა დროით?**
ახლა, ამ დროს, დღეს, გუშინ, გუშინწინ, შარშან,ზეგ, გაისად, დილით, მომავალ წელს, გასულ წელს, ახალ წელს, აღდგომას, შობას, გიორგობას... კვირის დასაწყისში/ ბოლოს, თვის დასაწყისში/ ბოლოს	ერთ საათში, ერთ დღეში, ხუთ წუთში, ერთ წელში, ორ კვი-რაში, სამ თვეში.... ერთი წლის განმავლობაში, ორი წლის წინ/წინათ.ე..ორი წლის შემდეგ/მერ... 8 საათიდან 10 საათამდე/ 8-დან 10-მდე (რვიდან ათამდე); 2011 წლიდან 2013 წლამდე/ 2011-დან 2013-მდე.	ერთი დღით, ერთი საათით, ხუთი წუთით, ერთი კვირით, ორი წლით, დიდი ხნით, ცოტა ხნით

,,როდის '' კითხვითი სიტყვის სავარაუდო პასუხები:

2. დიალოგები

დიალოგი-1

-როდის იქნები თბილისში?

-ხვალ საღამოს.

-რამდენი ხნით რჩები სოფელში?

-ერთი კვირით.

-დღის ბოლოს თავისუფალი ხარ?

-ექვსის შემდეგ თავისუფალი ვიქნები.

-პირველიდან ორამდე რას აკეთებ?

-შესვენება მაქვს.

-შუადღით ერთად ვისადილოთ!

-სიამოვნებით!

დიალოგი-2

-რომელზე იღვიძებ?

-როდის დაიბადე?

-ზაფხულობით სად ისვენებ?

-გაისად სკოლას ამთავრებ?

-რამდენი დღით გჭირდება წიგნი?

დიალოგი-3

-როდის ჩამოხვედი?

-გვიან ღამით, ცუდმა ამინდმა ფრენას ხელი შეუშალა.

-როდის დაირეკება ზარი?

- ნახევარ საათში.

-დღეს რა დღეა?

- ოთხშაბათი.

-რა რიცხვია?

-10 აპრილი 2013 წლისა.

-როდის მოვა ახალი წელი?

-მალე, სამ თვეში.

დაიხსომეთ!

დილას/ დილით; საღამოს /საღამოთი; შუადღისას/ შუადღით

2000 წელს//2000-ში; 2013 წელს// 2013-ში....

25-ოცდახუთი; 108- ას რვა; 250- ორას ორმოცდაათი; 1989 -ათას ცხრაას ოთხმოცდაცხრა, 2015- ორი ათას თხუთმეტი

სწორია: ორი (ხუთი...) წლის **წინ**

შეცდომაა: ორი (ხუთი...) წლის **უკან**

სავარჯიშო:

დაწერეთ სიტყვებით:

2000----------

1995----------

2013.16.04----------

1991.26.05----------

2014.01.01----------

ტექსტი -1

ჩემი ერთი დღე

მე **ყოველდღე დილით 8 საათზე** ვდგები. აბაზანაში შევდივარ და შხაპს ვიღებ. **8-30 საათზე** ვსაუზმობ, ზოგჯერ ყავას, ზოგჯერ ჩაის ვსვამ და ბუტერბროდს ვჭამ. **9 საათზე** უნივერსიტეტში მივდივარ, ლექციები მაქვს. იქ **2 საათამდე** ვრჩები. შემდეგ ამხანაგებთან ერთად კაფეში მივდივართ და ვსადილობთ, ვსაუბრობთ. **შემდეგ** სახლში მივდივარ, ცოტას ვისვენებ, **მერე** კი ვმეცადინეობ. საკმაოდ ბევრი დავალება მაქვს. **საღამოს** ქალაქში ვსეირნობ, განსაკუთრებით მიყვარს ზღვის სანაპიროზე სეირნობა. **9 საათზე** სახლში ვბრუნდები, ტელევიზორს ვუყურებ. **12 საათზე** ვიძინებ.

ტექსტი -2

ნათიას დაბადების დღე

დღეს 15 ოქტომბერია - ნათიას დაბადების დღე. იგი **ხუთი** წლის გახდა. დედამ მას ლამაზი კაბა აჩუქა, ბებიამ გემრიელი ტორტი გამოუცხო, მამამ ნათიას **ხუთი** ვარდი მიართვა, ძამიკომ კი თავისი ხელით დამზადებული მისალოცი ბარათი აჩუქა. სუფრა დედამ გაშალა და ლამაზი ყვავილებით მორთო. ნათია **ექვს** საათზე მეგობრებს ელოდება და ძალიან ღელავს. ზარის ხმაა. აი, მისი მეგობრებიც მოვიდნენ. ზეიმი **საღამომდე** გაგრძელდა.
დაბადების დღე ყველას ძალიან უყვარს.

დაიხსომეთ! ასე მიულოცეთ ახლობლებს:

ჩემო საყვარელო! გილოცავ დაბადების დღეს, იყავი ბედნიერი, ჯანმრთელი და მხიარული! ძალიან მიყვარხარ!

შენი შვილი/დაიკო ნათია

3. დიალოგები და სიტუაციური სავარჯიშოები:

1. დაწერეთ, როგორ აღნიშნავთ თქვენს დაბადების დღეს.

---

2. ჩასვით სწორი ფორმა:

- რომელ საათზე გადის ბათუმი-თბილისის მატარებელი? (22.30 საათი)

- რამდენ წუთში იწყება ლექცია? (15 წუთი)----------
- რამდენ ხანს დარჩები ტრაპიზონში? (14 დღე /) ----------
- როდისაა ეროვნული გამოცდები? (ზაფხული) ----------
- რომელ საათზე საუზმობ? (დილა, 9 საათი)----------

- რომელ სააათზე იძინებ? (ღამე, 12 საათი) ----------
- მამაშენი რამდენი ხნის განმავლობაში მუშაობდა ამ წიგნზე? (3 წელი)
  ---

3. მოცემულია პასუხები, დასვით კითხვები:

- ---
  გაისად უნივერსიტეტს ვამთავრებ.
- ---
  წელს ბათუმში ვისვენებდი.
- ---
  ერთ საათში უკვე უნივერსიტეტში ვიქნები.
- ---
  ხვალ დედაჩემის დაბადების დღეა.
- ---
  ერთი თვე ქალაქში არ ვიქნები.
- ---
  ორი საათიდან ხუთამდე ლექციები მაქვს.
- ---

4. სახელობითი, მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვის ფორმებით შედგენილი კონსტრუქციები

სახელობითი: მატარებელი გაჩერებულია; **ჩიტი** გალობს; **მასწავლებელი** გაკვეთილს ხსნის; **სტუდენტი** პასუხობს; **ლექცია** დაიწყო; **ზღვა** ღელავს; **ხე** იზრდება. **ბებია** ლობიოს თესავს; **ჩაი** დუღს....

მიცემითი: ბიჭს ფეხი უტკენია; **დედას** დაბადების დღე მივულოცე; **მამას** სტუმრები ჰყავს; **ამხანაგს** ფრიადი მიუღია; **სამშაბათს** თბილისში მივდივარ; **დილას** არ მისაუზმია; ამ **კვირას** ბათუმში ვარ; **ორშაბათს** თბილისში ვიქნები; **ჩემს დას** ელენე ჰქვია; ეს სოფელი **ჩემს სოფელს** მაგონებს;

ნათესაობითი: ამხანაგის რვეული მოვიტანე; **დაბადების** დღეზე გავერთეთ; **დედის** წერილი მივიღე; **სოფლის** სურნელი მომენატრა; **ზღვის** სეზონი მოვიდა; **კბილის ექიმთან მივდივარ;** მამაჩემი **ქიმიის** მასწავლებელია**; რვის** ნახევარზე ვიღვიძებ;

სავარჯიშო: ქვემოთ მოცემულ ტექსტში არსებით სახელებს მიუწერეთ შესაბამისი ბრუნვის ნიშნები!

პირველად თეატრში

ია და დაჩ--- თეატრში წავიდნენ. ია პირველად მიდიოდა თეატრ---. დარბაზ---დიდი იყო. მერე შუქ--- ჩაქრა. სცენ---- წინ პატარა ნათურა ანათებდა. მალე ფარდა გაიხსნა. გაისმა მუსიკ------ ხმაც. სცენა----- ყვავილები ამშვენებდა. სცენაზე ტყე იყო. ტყეში ჟირაფ--- იდგა და თავ---ცა---ს სწვდებოდა.

-თოჯინაა, -თქვა დაჩიმ.

-ვიცი,- უთხრა ია-----.

დოლ---- ხმაური დაიწყო. საყვირებ---- ხმაც გაისმა.

ვიწყებთ ტყ--- ზღაპარს, -თქვა ჟირაფ----.
ბავშვებ----მოეწონათ სპექტაკლ----.

დაასრულეთ წინადადებები!

ია და დაჩი თეატრში ----------
ია პირველად----------
სცენაზე ტყე----------
ბავშვებს სპექტაკლი ----------

რომელია ზედმეტი და რატომ?

სცენა, ფარდა, მზარეული, ნათურა

დაიხსომეთ ფრაზები:

1. მიულოცეთ ასე: ,,გილოცავ რვა მარტს, იყავი ლამაზი და ბედნიერი''.
2. დედა ამ ქვეყნად ყველაზე საყვარელია.
3. გიყვარდეთ დედა, სამშობლო და მშობლიური ენა.
4. შავი ზღვა დიდია.
5. მე მიყვარს ჩემი უნივერსიტეტი.
6. მინდა, ყველა ბავშვი ბედნიერი იყოს.
7. დედაჩემი და ოჯახი მენატრება.

VI თემა. ქონა-ყოლის გამომხატველი ზმნები ქართულში

1. სულიერი და უსულო არსებითი სახელების გამოყენება „ქონა-ყოლის“ ზმნებთან
გამონაკლისების ანალიზი

დაიხსომეთ: „მაქვს ‘‘ ზმნა იხმარება **უსულო საგნებთან, სულიერებთან კი - „მყავს”.**

მე მაქვს: ჩანთა, ტელეფონი, ფანქარი, ქოლგა, კომპიუტერი, მაცივარი, ფოტოაპარატი, სარეცხი მანქანა, გამომთვლელი მანქანა, ბინა....

მე მყავს: მშობლები, და-ძმები, ბებია, ბაბუა, ნათესავები, სტუმარი, ძაღლი, კატა, ცხენი, ცხვარი, ჩიტი, პეპელა, ქათამი, მამალი...

2. გამონაკლისები:

მანქანა (ავტომობილი), თვითმფრინავი, ველოსიპედი, გემი, იახტა, კატერი, ნავი...

ეს უსულო არსებითი სახელები **გადაადგილდებიან ადამიანთან** ერთად და ისინი გათანაბრებული არიან სულიერ არსებით სახელებთან.

დაიხსომეთ:

სწორია: მანქანა მყავს; თვითმფრინავი გყავს; გემი ჰყავს; ველოსიპედი გვყავს;

შეცდომაა: მანქანა მაქვს; თვითმფრინავი გაქვს; გემი აქვს; ველოსიპედი გვაქვს;

3. „ქონა-ყოლის“ ზმნების დროის ფორმები

ახლანდელი

- მე **მაქვს** წიგნი; მე **მყავს** მეგობარი;
- ჩვენ **გვაქვს** სახლი; ჩვენ **გვყავს** ნათესავები;
- შენ **გაქვს** კომპიუტერი; შენ **გყავს** თურქი ამხანაგი;
- თქვენ **გაქვთ** ლექცია; თქვენ **გყავთ** ქართველი მასწავლებლები;
- მას **აქვს** ლამაზი კაბა; მას **ჰყავს** დედა ავად;
- მათ **აქვთ** ქართულში გამოცდა; მათ **ჰყავთ** ბიძაშვილები საზღვარგარეთ.

წარსული

- მე სარეცხი მანქანა **მქონდ**ა; მე ავტომობილი **მყავდ**ა;
- ჩვენ ლექცია **გვქონდ**ა; ჩვენ იახტა **გვყავდ**ა;
- შენ პატარა ბინა **გქონდ**ა; შენ დიდი ძაღლი **გყავდ**ა;
- თქვენ დასაწერი გქონდათ; თქვენ ჩიტები **გყავდ**ათ;
- მას მტვერსასრუტი ჰქონდა; მას დედა ექიმი **ჰყავდ**ა;
- მათ საკუთარი სახლი ჰქონდათ; მათ ახალი მანქანები **ჰყავდ**ათ;

მომავალი

- მე **მექნ**ება წიგნი; მე **მეყოლ**ება მეგობარი;
- ჩვენ **გვექნ**ება სახლი; ჩვენ **გვეყოლ**ება ნათესავები;

- შენ **გექნება** კომპიუტერი; შენ **გეყოლება** თურქი ამხანაგი;
- თქვენ **გექნებათ** ლექცია; თქვენ **გეყოლებათ** ქართველი მასწავლებლები;
- მას **ექნება** ლამაზი კაბა; მას **ეყოლება** დედა ავად;
- მათ ექნებათ ქართულში გამოცდა; მათ **ეყოლებათ** ბიძაშვილები საზღვარგარეთ.

წარსული შედეგობითი

- მე სარეცხი მანქანა **მქონია**; მე ავტომობილი **მყოლია;**
- ჩვენ ლექცია **გვქონია;** ჩვენ იახტა **გვყოლია;**
- შენ პატარა ბინა **გქონია;** შენ დიდი ძაღლი **გყოლია;**
- თქვენ დასაწერი **გქონიათ;** თქვენ ჩიტები **გყოლიათ;**
- მას მტვერსასრუტი **ჰქონია;** მას დედა ექიმი **ჰყოლია;**
- მათ საკუთარი სახლი **ჰქონიათ;** მათ ახალი მანქანები **ჰყოლიათ;**

4. ტექსტები, დიალოგები, სიტუაციური სავარჯიშოები

ჩემი დედა

მე ახალგაზრდა და ლამაზი დედა **მყავს**. მას სელმა ჰქვია, ის 42 წლისაა. დედაჩემი სკოლაში მუშაობს, თურქული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია. მას ბევრი მეგობარი **ჰყავს**. დედა დილით ადრე დგება, სახლის საქმეებს აკეთებს: სადილს ამზადებს, ალაგებს, აუთოებს. მას სახლში **აქვს:** წიგნები, ჟურნალები, საინტერესო სურათები. დედას ნათესავები **ჰყავს.** ისინი გერმანიაში ცხოვრობენ. შარშან მას მანქანა **ჰყავდა**, ახლა **არ ჰყავს.** ალბათ, გაისად ახალი მანქანა **ეყოლება** და ჩვენ წავალთ გერმანიაში ნათესავებთან. დედას ძალიან უყვარს სტუმრები. მამასაც **ჰყავს** მეგობრები, მანქანა და მასაც უყვარს მოგზაურობა. ბებიას და ბაბუას ადრე საკუთარი სახლი **ჰქონიათ, ჰყოლიათ** ფრინველები, შინაური ცხოველები. ჩვენი წინაპრები საინტერესო ადამიანები **ყოფილან**. ჩვენ ახლა ბინა **გვაქვს** და არც ფრინველები **გვყავს** და არც ცხოველები.

დედა ბევრს კითხულობს, მუსიკაც უყვარს. ის ძალიან წარმატებული ადამიანია. მე ძალიან მინდა დედას ვგავდე.

ჩვენი უნივერსიტეტი

ჩვენ კარგი უნივერსიტეტი **გვაქვს.** იგი ცნობილი ქართველი პოეტის - შოთა რუსთაველის სახელს ატარებს. უნივერსიტეტს ორი დიდი შენობა და ბევრი სასწავლო აუდიტორია **აქვს.** ასევე **აქვს**: ეზო, რამდენიმე შესასვლელი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ცენტრები, საკონფერენციო, საკონცერტო და სპორტული დარბაზები, სტუდენტური კაფე. უნივერსიტეტს წინათ ასეთი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა **არ ჰქონია.** უნივერსიტეტს ცნობილი პედაგოგები **ჰყოლია**, ახლაც გამოცდილი და კვალიფიციური პროფესურა **ჰყავს.** სამომავლოდ ახალი საგანმანათლებლო და გაცვლითი პროგრამები **გვექნება** და სტუდენტებიც კმაყოფილი **ვიქნებით.**

სავარჯიშო-1. დაწერეთ თქვენი მშობლების, ქალაქის ან სოფლის, სკოლის ან უნივერსიტეტის შესახებ

დიალოგი -1

-გამარჯობა, ნინო.

-გამარჯობა, ქეთი.

-შენ ბევრი მეგობარი **გყავს?**

-კი, ბევრი მეგობარი **მყავს,** ჩემს ქალაქშიც მყავდა და აქაც **მყავს.**

-სახლში ბევრი წიგნი **გაქვთ?**

-არა, ადრე არ **გვქონდა,** მაგარამ ახლა მეტი გვაქვს.

- სახლში ქართული ზღაპრები **გაქვთ?**

-თითქმის ყველა ქვეყნის ზღაპრები **გვაქვს.**

- ადრე საქართველოში **ყოფილხარ?**

-არა, არ **ვყოფილვარ,** პირველად ვარ.

-ბათუმის ნახვის სურვილი **გქონდა?**

-დიახ, სურვილი სულ **მქონდა,** შესაძლებლობა - არა.

დიალოგი-2 . დასმულ კითხვებს გაეცით პასუხი:

-გამარჯობა, დავით!

-გავიგე, ახალი მანქანა **გყოლია .**

-როდის იყიდე?

-სახლში ბიბლიოთეკა გაქვთ?

-ხვალ თეატრში წასასვლელად დრო გექნება?

-თურქეთში ნათესავები **გყავთ?**

-მითხრეს, კარგი სტუდენტი ყოფილხარ.

სავარჯიშო -2.

შეადგინეთ წინადადებები მოცემული ფორმების გამოყენებით!

მაქვს: ----------

მქონდა: ----------

აქვს: ----------

არ მქონია: ----------

მექნება: ----------

გქონდათ: ----------

გაქვს: ----------

არ ჰქონია: ----------

გვექნება: ----------

გაქვთ: ----------

სავარჯიშო-3.

ჩასვით ზმნა სწორი დროის ფორმებით!

1. დიდი ხანია მანქანა (ავტომობილი) აღარ ----------, მაგრამ ხვალ უკვე ----------
2. გუშინ დრო არ ---------- და ვეღარ დაგირეკე.
3. შენ საკერავი მანქანა ----------? ჯერჯერობით არა ----------, მაგრამ მალე ----------.
4. როდის ----------სტიპენდია? მომავალ წელს ----------
5. ხვალ თუ კარგი დარი ----------სასეირნოდ წავიდეთ.
6. დაბადების დღეზე ტორტი ----------?
7. ტორტიც ---------- და სხვა რამეც.
8. ლექცია ----------? არა, აღარ ----------
9. ძველი ტელეფონი ----------, გამოვცვალე და ახალი ----------
10. სახლში ძაღლი ----------? ძაღლი არა, კატა----------

სავარჯიშო-4.

შეარჩიეთ შესაფერისი ფორმა: მაქვს, გაქვს, აქვს, გვაქვს, გაქვთ, აქვთ.

1. დღეს რამდენი ლექცია ----------?
2. ისე დავიღალე, არაფრის თავი არ ----------.
3. ბებოს ბევრი მურაბა ----------მომზადებული.
4. ისევ ოთხი ლექცია ----------.

5. ოთახში ყვავილები ----------?
6. სოფელში ბევრი ხილი ----------.

სავარჯიშო -5.

შეარჩიეთ შესაფერისი ფორმა: მყავს, გყავს, ჰყავს, გვყავს, გყავთ, ჰყავთ.

1. ინგლისურში ახალი ლექტორი ----------
2. სოფელში ცხენი ---------- თუ ვირი?
3. თინას სალონში ბევრი კლიენტი ----------.
4. ქალაქს ახალი მერი----------.
5. ცხოველები არ მიყვარს, არასდროს ----------.
6. მათ ბევრი შვილი ----------.
7. შენ ვინ ----------სახლში?
8. მათ ზაფხულობით ბევრი სტუმარი ----------.
9. ფოტოაპარატი არასდროს ---------- და შევიძინე.
10. ტესტირება ----------? ხვალ ----------.
11. ლექციაზე რატომ არ ----------, ავად გავხდი.
12. უნივერსიტეტში ბევრი უცხოელი სტუდენტი ----------.

სავარჯიშო -6.

ცხრილში ჩაწერეთ თქვენ ირგვლივ რა გაქვთ და ვინ გყავთ?

მაქვს	**მყავს**

დაიხსომეთ ფრაზები:

1. მსოფლიო ხალხებს არ უნდა ომი.
2. დროს უნდა დაეწიო.
3. გულით გიყვარდეს სამშობლო ენა.
4. პიცის შეკვეთა მინდა.
5. სახლში გყავთ შინაური ცხოველები?
6. ტყუილს მოკლე ფეხები აქვს.
7. მასწავლებელი ყველა ვერ იქნება.

VII თემა - სასურველი მოქმედების გამოხატვა ქართულში

1. „მინდა“ ზმნის უღლება

მე **მინდა** კომპიუტერი
შენ **გინდა** კომპიუტერი
მას **უნდა** კომპიუტერი

ჩვენ **გვინდა** კომპიუტერი
თქვენ **გინდათ** კომპიუტერი
მათ **უნდათ** კომპიუტერი

მე **მქონდეს კ**ომპიუტერი
შენ **გქონდეს** კომპიუტერი
მას **ჰქონდეს** კომპიუტერი

ჩვენ **გვქონდეს** კომპიუტერი
თქვენ **გქონდეთ** კომპიუტერი
მათ **ჰქონდეთ** კომპიუტერი

მე **მინდა მქონდეს კ**ომპიუტერი
შენ **გინდა გქონდეს** კომპიუტერი
მას **უნდა ჰქონდეს** კომპიუტერი

ჩვენ **გვინდა გვქონდეს** კომპიუტერი
თქვენ **გინდათ გქონდეთ** კომპიუტერი
მათ **უნდათ ჰქონდეთ** კომპიუტერი

+ ძალიან

მე **ძალიან** მინდა მქონდეს კომპიუტერი
შენ **ძალიან** გინდა გქონდეს კომპიუტერი
მას **ძალიან** უნდა ჰქონდეს კომპიუტერი
ჩვენ **ძალიან გვინდა** გვქონდეს კომპიუტერი
თქვენ **ძალიან გინდათ** გქონდეთ კომპიუტერი
მათ **ძალიან უნდათ** ჰქონდეთ კომპიუტერი

2. „ნეტავ“ ნაწილაკის გამოყენება ნატვრის გამოსახატავად

ნეტავ მქონდეს კომპიუტერი!
ნეტავ გქონდეს კომპიუტერი!
ნეტავ ჰქონდეს კომპიუტერი!
ნეტავ გვქონდეს კომპიუტერი!
ნეტავ გქონდეთ კომპიუტერი!
ნეტავ ჰქონდეთ კომპიუტერი!

ნეტავ მყავდეს მანქანა!
ნეტავ გყავდეს მანქანა!
ნეტავ ყავდეს მანქანა!
ნეტავ გვყავდეს მანქანა!
ნეტავ გყავდეთ მანქანა!
ნეტავ ჰყავდეთ მანქანა!

დაიხსომეთ!

ნეტავ სიზმარი ამისრულდებოდეს.
ნეტავ მალე მოთოვდეს.
ნეტავ სახლში დავრჩენილიყავი.
ნეტავ რა უნდა ეთქვა?
ნეტავ გამოცდას კარგად ჩავაბარებდე!
ნეტავ დედა ჯანმრთელად იყოს!

3. „მქონდეს“, „მყავდეს” ზმნების ირეალური მოდალობის გამომხატველი რთული კონსტრუქციის აგება (რომ მქონდეს...., რომ მყავდეს... რას ვიზამდი? რას გავაკეთებდი?)

- პასპორტი **რომ მქონდეს,** თურქეთში წავიდოდი.
- ბევრი ფული **რომ გქონდეს,** კეთილ საქმეებს **გააკეთებდი?**
- დიდი ეზო **რომ გვქონდეს,** ყვავილებს დავრგავდით.
- დრო რომ **გვქონდეს,** პიკნიკს მოვაწყობდით.
- აივანი **რომ გქონდეთ,** დაგვპატიჟებდით?
- იახტა **რომ ჰყავდეთ,** მეგობრებთან ერთად ვისეირნებდით.
- ძაღლი **რომ მყავდეს,** ალბათ, ვერ მოვუვლიდი.
- ბევრი შვილი **რომ გყავდეს,** ერთად იცხოვრებდით?
- კარგი იქნება, ველოსიპედი რომ ჰყავდეს!
- მანქანა **რომ გვყავდეს,** საქართველოს მთა და ბარს მოვივლიდით.
- გინდათ, სახლში ძროხა **რომ გყავდეთ?**
- ქართველი მასწავლებლები **რომ ჰყავდეთ,** ქართულს კარგად ისწავლიდნენ?

- **ძალიან მინდა** სიყვარულის ქალაქის-პარიზის ნახვა.
- **ძალიან გვინდა** სვეტიცხოვლის ნახვა.
- **ძალიან უნდათ** ექსკურსიაზე წასვლა?
- **ყველაზე მეტად მინდა** მასწავლებლობა.
- **ყველაზე მეტად** რა გინდათ?
- **ყველაზე მეტად გვინდა არდადეგების დადგომა.**

დაიხსომეთ!

ძალიან, ძალიან, ძალიან მინდა ბედნიერი ვიყო!

ყველაზე, ყველაზე, ყველაზე მეტად დედა მიყვარს.

4. ტექსტები, დიალოგები, სიტუაციური სავარჯიშოები

ტექსტი

ბავშვობაში ხშირად ვოცნებობდი, სახლი **რომ მქონოდა** ზღვის პირას. სახლში **იქნებოდა** უამრავი ოთახი, ოთახებს ირგვლივ **ექნებოდა** ლამაზი აივნები. აივანი **რომ ჰქონოდა** ჩემს სახლს, მოვრთავდი ყვავილებით. რა თქმა უნდა, სახლს დიდი ეზო **ექნებოდა,** ეზოში კი, **მეყოლებოდა** დიდი და ლამაზი ძაღლი. ძაღლს ლამაზი სახლი **ექნებოდა.**

ძალიან მინდა მანქანა **მყავდეს**. ჩემს მეგობრებთან ერთად ბევრს ვისეირნებდი. მოვივლიდით საქართველოს ქალაქებს, წავიდოდით სვანეთში, მესტიას ვნახავდით. კახეთსაც მოვინახულებდით, საინტერესო სურათებს გადავიღებდით.

ძაღლი რომ მყოლოდა, თან წავიყვანდი.

სავარჯიშო-1. უპასუხეთ!

რა გინდა გქონდეს?	**ვინ გინდა გყავდეს?**	**ვინ გინდა იყო?**

სავარჯიშო-2. ჩასვით **მაქვს, გვაქვს, მყავს, გვყავს** ზმნების შესაფერისი ფორმები

1. დიდი ბებია ----------

2. მანქანა ----------? არა, მაგრამ ძალიან მინდა ----------

3. თქვენ პერსონალური კომპიუტერი----------, სამწუხაროდ----------
---

4. სოფელი რომ ----------, რას იზამდი?----------
---

5. შესაძლებლობა რომ ----------, საზღვარგარეთ ისწავლიდი?

-სიამოვნებით, შესაძლებლობა რომ ----------, საზღვარგარეთ ვისწავლიდი.

6. დიდი ბინა თუ ----------, ძაღლი ----------

-არ ვიცი, ალბათ, ----------

სავარჯიშო-3. გამოიყენეთ მოცემული სიტყვები და დაწერეთ წინადადებები:

აგარაკი, საბავშვო ბაღი, მაღალი შეფასება, მყოლია, ალბათ მექნება, ძალიან მინდა, ჟურნალისტი ვიქნები, ჩემი ოცნებაა, ენების ცოდნა, ველოსიპედით სეირნობა

ნიმუში: მე ლამაზი აგარაკი მაქვს.

1.

2.

3.

4.

5.

6.

7.

8.

9.

10.

სავარჯიშო -4. დაუკავშირეთ ერთმანეთს შესაბამისი ფორმები:

სახლში	ბინა	მინდა
ავტომობილი	გინდა	გვყავს
ძაღლი	საკერავი მანქანა	გყავდეს?
კომფორტული	მინდა	გქონდეს?
ზღვაზე	იახტა	მაქვს
დედაჩემს	გინდა	მინდა
თხილამურები	სტუმრები	აქვს
ნათელი	აგარაკი	მექნება
საკუთარი	წასვლა	გვეყოლება
თვითმფრინავით	მგზავრობა	მყავდეს

დიალოგი-1. დააკავშირეთ კითხვები შესაბამის პასუხებთან:

-ყველაზე მეტად რა გინდა?	- სკოლაში ვიმუშავებ.
-გინდა ახალი მანქანა გყავდეს?	- ბევრს ვიმოგზაურებდი.
-რას იზამ უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ?	-გაჭირვებულ ბავშვებს დავეხმარებოდი.
-კიდევ რას იზამდი?	-ძალიან.
-ბევრი ფული რომ გქონდეს, რას იზამდი?	-ადრე მყავდა, ახლა არა.
-ოდესმე სახლში თუთიყუში გყოლია?	-მინდა ზაფხული მალე მოვიდეს.

დიალოგი-2.

-მხატვარი რომ იყო, ვის დახატავდი?

-თავისუფალი დრო რომ გქონდეს, როგორ გაატარებდი?

-ხვალ რომ სამი ლექცია გაქვს, **იცი?**

-არა, **----------**-ეს რომ **მცოდნოდა,** ----------

-ფეხბურთელი რომ იყო, რომელ გუნდში ითამაშებდი?

-მასწავლებელი რომ იყო, მკაცრი იქნებოდი?

დაიხსომეთ!

მინდა კარგი სპექტაკლი ვნახო.
მინდა რომი და ვენეცია დავათვალიერო.
მინდა კარგად ვისწავლო და სტიპენდია მოვიპოვო.
მინდა სწავლა მაგისტრატურაში გავაგრძელო.

დაიხსომეთ ფრაზები:

1. ნეტავი, ჩიტად მაქცია!
2. მინდა, მქონდეს ახალი კომპიუტერი!
3. ქართველებს კარგი სიმღერები აქვთ.
4. ბავშვობა საუკეთესო პერიოდია.
5. ახალი წელი განსაკუთრებით მიყვარს.
6. სიყვარული ალამაზებს ადამიანს.
7. იყავი წარმატებული სტუდენტი!

VIII თემა - „ვიცი“ ზმნა და მისი უღლება

1. **„ვიცი“** ზმნის დროის ფორმები და სასურველი მოქმედების გამოხატვა

ახლანდელი დრო		**წარსული დრო**	
ვიცი	ვიცით	ვიცოდი	ვიცოდით
იცი	იცით	იცოდი	იცოდით
იცის	იციან	იცოდა	იცოდნენ
მომავალი დრო		**წარსული შედეგობითი**	
მეცოდინება	გვეცოდინება	(არ) მცოდნია	(არ) გვცოდნია
გეცოდინება	გეცოდინებათ	(არ) გცოდნია	(არ) გცოდნიათ
ეცოდინება	ეცოდინებათ	(არ) სცოდნია	(არ) სცოდნიათ

სასურველი მოქმედება

ნეტავ	**მინდა/გვინდა**
ვიცოდე -თ	ვიცოდე -თ
იცოდე -თ	იცოდე -თ
იცოდეს / ნენ	იცოდეს / ნენ

2. კონსტრუქციების აგება „ვიცი“ ზმნის მეშვეობით

- დღევანდელი მასალა კარგად **ვიცი/თ.**
- **იცი/თ,** ენძელები ამოსულა?
- ამ სტუდენტმა რამდენიმე ენა **იცის/ან** (სტუდენტებმა)

- ყველაფერი **ვიცოდი/თ,** მაგრამ ჯერ ვერ ვამბობ/თ.
- ალბათ, **იცოდი/თ** ეს ამბავი.
- ბებიამ კარგი ზღაპრები **იცოდა/ნენ** (ბებიებმა).

- ხვალ ყველაფერი **მეცოდინება /გვეცოდინება.**
- **იცოდე/თ,** ხვალ აუცილებლად **გეცოდინება/თ** გაკვეთილი!
- მან/თ უნდა **იცოდეს/ნენ** ამის შესახებ!

- **(არ) მცოდნია/გვცოდნია** ამ სტუდენტის ბიოგრაფია.
- გავიგე, **არ გცოდნია/თ** ლექსი.
- მას **(არ) სცოდნია/თ,** ლექცია რომ იწყებოდა.

3. სახელთა ბრუნვის ფორმები „ვიცი“ ზმნის კონსტრუქციებში

- -ნინო, **იცი** თურქული?
- -არა, ქეთევან, **არ ვიცი.**
- დავითმ**ა იცის** თურქული, გიორგიმ არ **იცის** .
- ჩვენ(სტუდენტებ**მა**) **ვიცით** ამ ქალაქის ისტორია, თქვენ **იცით?**
- სტუდენტებ**მა** ინგლისური ენა კარგად **იციან.**

- მე(ბიჭ**მა**) მანქანის ტარება **ვიცოდი,** ჩვენც(ბიჭებ**მაც**) **ვიცოდით.**
- შენ(ამხანაგ**მა**) **იცოდი** ჩემი ახალი სახლი?
- თქვენ(ტურისტებ**მა**) **იცოდით** ბათუმის უნივერსიტეტის შესახებ?
- დედა**მ** ყველაფერი **იცოდა**, ბებიებ**მაც იცოდნენ.**

- მე/ჩვენ (მოსწავლე**ს**/მოსწავლეებ**ს**) თქვენ შესახებ ყველაფერი **მეცოდინება/გვეცოდინება.**
- შენ/თქვენ (მოსწავლე**ს**/მოსწავლეებ**ს**) **გეცოდინება/გეცოდინებათ** გაკვეთილი.
- დავით**ს ეცოდინება** თურქული, მის მეგობრებ**ს არ ეცოდინებათ.**

- მე (ნინო**ს**) ეს ლექსი ზეპირად **მცოდნია**, ჩვენც(ამხანაგებ**ს**) **გვცოდნია.**

- შენ(ანა**ს**) ეს ამბავი **გცოდნია**, თქვენაც(მის მეგობრებ**ს**) **გცოდნიათ.**
- დავით**ს** კარგად **(არ) სცოდნია** თურქული, არც მისი ოჯახის წევრებ**ს სცოდნიათ.**

დაიხსომეთ!

ნეტავ, ყველაფერი ვიცოდე! (დავით-**მა**)
ნეტავ, ადრე გცოდნოდა! (მამა-**ს**)
ძალიან მინდა, ბევრი რამის ცოდნა! (სტუდენტ-**ს**)
ძალიან უნდა, ჩემ შესახებ ყველაფერი იცოდეს! (ამხანაგ-**ს**)

4. ტექსტები, დიალოგები, სიტუაციური სავარჯიშოები

წაიკითხეთ ტექსტი, დააკვირდით „ვიცი” ზმნის ფორმებს და განათავსეთ ისინი მოცემულ ცხრილში დროების მიხედვით

გაზაფხული

გაზაფხულდა. ვიცით, რომ ყველაფერი ამწვანდება, ყვავილები გაიშლება. ისიც ვიცით, რომ მიწა გათბება. მალე ჩიტები დაბრუნდებიან. თქვენ ხომ იცით, რომ ისინი შემოდგომაზე მიფრინავენ თბილ ქვეყნებში. ადრეც გცოდნიათ ამის შესახებ, მაგრამ ახლა დიდები ხართ და შეგიძლიათ დააკვირდეთ, როგორ ჯგუფ-ჯგუფად მიფრინავენ ისინი. ბაბუასგან იცით, მერცხლები სად იშენებენ ბინას? მაშინ ისიც გეცოდინებათ, რომ მერცხლის ბუდის მოშლა არ შეიძლება. ყველამ უნდა იცოდეს, მერცხალი გაზაფხულის სიმბოლოა, ბუდე კი-ოჯახისა.

ჩვენი კურსი

ჩვენს კურსზე სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტები სწავლობენ. ზოგი თურქია, ზოგი-აზერბაიჯანელი, ზოგიც-ევროპელი. მათ ქართული ჯერ არ იციან, მალე ეცოდინებათ. ორმა სტუდენტმა ქართული ცოტა იცოდა. ინგლისური ენა თითქმის ყველამ იცის. ქართული ენის მასწავლებელმა მათ ასე უთხრა: რამდენი ენა იცი, იმდენი კაცი ხარო. უცხოელებმა საქართველოს შესახებ ბევრი არაფერი იცოდნენ, ახლა თანდათან სწავლობენ და უკეთესად ეცოდინებათ. ჩვენც გვინდა ვიცოდეთ მათი ქვეყნების შესახებ. იმედია, მათგან ბევრს გავიგებთ და სხვა ქვეყნების ისტორიაც გვეცოდინება.

ახლანდელი	**წარსული**	**მომავალი**	**წარსული შედეგობითი**	**სასურველი მოქმედება**
ვიცით				

დიალოგი-1.

-იცი, დღეს ნინო ჩამოდის?

-ვიცი და ველოდები სულმოუთქმელად.

-ხომ **იცი,** რომ გელოდები, სამსახურიდან აუცილებლად გამომიარე.

-ვიცი, რომ მელოდები, შევეცდები მოვიდე.

-მე **ვიცი,** დღეს ნინოს დაბადების დღეა.

-უნდა **იცოდე**, ის ხომ შენი მეგობარია.

-თქვენ **იცოდით** , ლექცია რომ არ ტარდებოდა?

-ვიცოდით და დაგვავიწყდა თქვენი გაფრთხილება.

-მინდა ვიცოდე, ოპერაცია რამდენ ხანს გრძელდება?

-არ **ვიცი**, ექიმს ჰკითხეთ.

თქვენ **გცონიათ** და დაგავიწყდათ ინფორმაციის მოწოდება?

-ვიცი, დამავიწყდა, მაპატიეთ.

ნეტავ ვიცოდე, აღარ დათბება?

-არ ვიცი, ნეტავ მართლა **ვიცოდე,** როდის დათბება!

დიალოგი-2.

-რამდენი ენა იცით?

-ინგლისური უფრო კარგად იცის თუ რუსული?

-გეგონა, თამარის ამბავი იცოდი?

-ხვალ თუ გვეცოდინება გამოცდის შედეგი?

-ეს რომ გცოდნოდა, როგორ მოიქცეოდი?

სავარჯიშო 1. მოცემულ სავარჯიშოში ჩასვით „ვიცი" ზმნასთან შეწყობილი სახელი სწორი ბრუნვის ფორმით

1. ----------თურქული ძალიან კარგად იცის (ჩემი შვილი).
2. ---------- იცეკვეს (სტუმრები), ----------არ უცეკვია (ნინო)
3. ----------ინგლისური კარგად არ სცოდნია (მარიამი).
4. ----------თურქია და ---------- კარგად არ იცის (ხუსეინი, ქართული).
5. ანა, როდისაა ---------- დაბადების დღე? (ნინო)
6. ----------ერთი წლის შემდეგ ----------კარგად ეცოდინება (ტერეზა, ქართული ენა).

სავარჯიშო 2. შეადგინეთ დიალოგი თქვენს მეწყვილესთან ერთად „ყველაზე მეტად რას ისურვებდი?"

1.----------

2.----------

1.----------

2.----------

1.----------

2.----------

1.----------

2.----------

1.----------

2.----------

სავარჯიშო 3. მოცემულ წინადადებებში ზმნები გადაიყვანეთ მესამე პირში:

ნიმუში: დავითს რომ დიდი სახლი **ჰქონოდა** , ბევრ სტუმარს დაპატიჟებდა.

1. მე რომ მასწავლებელი **ვიყო**, ბავშვებს ბევრს ვესაუბრებოდი.
2. შენ რომ მხატვარი **იყო**, ზღვას დახატავდი.
3. ჩვენ რომ საქართველოში **ვიყოთ**, ქართულს ვისწავლიდით.
4. მე თუ მანქანა **მეყოლება**, გაგასეირნებთ.

5. შენ რომ და-ძმა **გყავდეს**, უფრო მხიარულად იცხოვრებდი.
6. ჩვენ სახლში სტუმრები **გვყოლია**.
7. თქვენ რომ ფეხბურთელი **იყოთ,** ბევრ გოლს გაიტანდით.

სავარჯიშო 4. დააკავშირეთ!

1. შენ რამდენი ენა იცი?	საქართველოში უნდა ვისწავლო.
2. შენმა დამ რომელი ენა იცის?	ინგლისური.
3. თქვენმა მშობლებმა ინგლისური ენა იციან?	ჯერ მხოლოდ მშობლიური.
4. საფრანგეთი, ფრანგი	...იმდენი კაცი ხარ.
5. რამდენი ენა იცი....	დედამ იცის, მამამ -არა.
6. რატომ გინდა იცოდე ქართული ენა?	ფრანგული
7. რომელია საერთაშორისო ენა?	გერმანული
8. ავსტრია, ავსტრიელი	მშობლიური და ქართული.

სავარჯიშო 5. მესამე თემის (გვ. 21) ტექსტი „წერილი დედას" განავრცეთ, გამოიყენეთ „ვიცი" ზმნის ფორმები!

დაიხსომეთ ფრაზები:

1. შენი ცოდნა შენს ქვეყანას გამოადგება.
2. არ იცი, ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფია?
3. რამდენი კონტინენტი იცით?
4. ქუთაისი ძველი ისტორიული ქალაქია.
5. თბილისი V საუკუნეში დააარსა ვახტანგ გორგასალმა.
6. ამასია თურქეთის ისტორიული ქალაქია.
7. სტამბოლი მსოფლიოში ერთ-ერთი დიდი ქალაქია.

IX თემა - „თქმა“ ზმნა და მისი უღლება

1. „თქმა“ ზმნის დროის ფორმები და სასურველი მოქმედების გამოხატვა

ახლანდელი დრო	**წარსული დრო**	**მომავალი დრო**
ვამბობ მე მას (-თ)	ვთქვი მე ის (-თ)	ვიტყვი მე მას (-თ)
ამბობ შენ მას (-თ)	თქვი შენ ის (-თ)	იტყვი შენ მას (-თ)
ამბობს ის მას (-ენ)	თქვა მან ის (-ეს)	იტყვიან ისინი მას (-ან)

დაიხსომეთ:

ვეუბნები-ვეუბნებით, ეუბნები-ეუბნებით, ეუბნება-ეუბნებიან(მე, ჩვენ; შენ, თქვენ; ის, ისინი →მას, მას);
ვუთხარი-ვუთხარით, უთხარი-უთხარით, უთხრა-უთხრეს (მე, ჩვენ; შენ, თქვენ; მან, მათ→ მას, ის);
ვეტყვი-ვეტყვით, ეტყვი-ეტყვით, ეტყვის/ეტყვიან (მე, ჩვენ; შენ, თქვენ; ის, ისინი →მას, მას);

წარსული შედეგობითი

(არ) მითქვამს მე ის	(არ) გვითქვამს ჩვენ ის
(არ) გითქვამს შენ ის	(არ) გითქვამთ თქვენ ის
(არ) უთქვამს მას ის	(არ) უთქვამთ მათ ის

სასურველი

• (ნეტავ) ვთქვა მე ის	ნეტავ (არ) მეთქვა მე ის
• (ნეტავ) ვთქვათ ჩვენ ის	ნეტავ არ გვეთქვა ჩვენ ის
• (ნეტავ) თქვა შენ ის	ნეტავ (არ) გეთქვა შენ ის
• (ნეტავ) თქვათ თქვენ ის	ნეტავ არ გეთქვათ თქვენ ის
• (ნეტავ) თქვას მან ის	ნეტავ (არ) ეთქვა მას ის
• (ნეტავ) თქვან მათ ის	ნეტავ არ ეთქვათ მათ ის
• მინდა ვთქვა მე ის	გვინდა ვთქვათ ჩვენ ის
• გინდა თქვა შენ ის	გინდათ თქვათ თქვენ ის
• უნდა თქვას მან ის	უნდათ თქვან მათ ის]

2. კონსტრუქციის აგება „თქმა“ ზმნის მეშვეობით

- მე ხშირად **ვამბობ,**ზაფხულს არაფერი ჯობია-მეთქი; ჩვენ ხშირად **ვამბობთ,** ზაფხულს არაფერი ჯობიაო.
- შენ (თქვენ) ამბობ/თ ლექსს.
- ის (ისინი) ამბობს/ენ ამბავს.

დააკვირდით-იცვლება ზმნის ფუძე

- გუშინ მე **ვთქვი,** ამინდი შეიცვლება-მეთქი; გუშინ ჩვენ **ვთქვით,** ამინდი შეიცვლებაო;
- შენ (თქვენ) **თქვი/თ** ეს ლექსი.
- მან (მათ) **თქვა/ეს** სიმართლე.

- მე (ჩვენ) **ვიტყვი/თ** ყველაფერს
- შენ (თქვენ) **იტყვი/თ** ტყუილს.
- ის (ისინი) **იტყვის/ან** მართალს.

- მე არ **მითქვამს**, ხვალ დასვენების დღეა-მეთქი;

- ჩვენ არ **გვითქვამს**, ხვალ დასვენების დღეო;
- შენ (თქვენ) **გითქვამს/თ,** ბილეთები ავიღეო/ავიღეთო.
- მას (მათ) **უთქვამს/თ,** ლექციაზე ვერ მოვალო/მოვალთო;

3. სახელთა ბრუნვის ფორმები „თქმა“ ზმნიან კონსტრუქციებში

- მე (თამარ**ი**) ვამბობ ლექს**ს**; ჩვენ (მოსწავლეებ**ი**)ვამბობთ ლექს**ს**;
- შენ (დავით**ი**) ამ**ას** ამბობ? თქვენ (ბავშვებ**ი**)ამბობთ ტყუილ**ს**?
- დედაჩემ**ი** ახალ ამბავ**ს** ამბობს; დედებ**ი** საინტერესო ამბებ**ს** ამბობენ.
- მე /ჩვენ (ნინო**მ,** ექიმებ**მა**) **ვთქვი/თ, გრიპის ეპიდემია არისო.**
- შენ /თქვენ (ნინო**მ,** სტუდენტებ**მა**) **თქვი/თ** , ადრე მოვალო/მოვალთო;
- მან/მათ (მამა**მ** , მამებ**მა**) **თქვა/ეს,** იმეცადინეთო.
- მე /ჩვენ (ბიჭ**ი**, ბიჭებ**ი**) დაბადების დღეზე ახალ ლექს**ს ვიტყვი/თ.**
- შენ/ თქვენ (გოგო, გოგოებ**ი**) სიმართლე**ს იტყვი/თ?**
- ის/ ისინი (მარიამ**ი,** გოგონებ**ი**) ლექს**ს** გამოთქმით **იტყვის/ან.**

- მე/ჩვენ (ადამიან**ს,** ადამიანებ**ს**) **მითქვამს/გვითქვამს** ეს ამბავ**ი.**
- შენ/ თქვენ (ამხანაგ**ს**, ამხანაგებ**ს**) ეს არ **გითქვამს/თ?**
- მას/მათ (დედა**ს**, დედებ**ს**) **უთქვამს/თ,** რომ ნაყინი უყვარდა/თ.

დაიხსომეთ!

მეთქვა/გვეთქვა; გეთქვა/თ; ეთქვა/თ; ვთქვა/თ; თქვა/თ; თქვას/თქვან;
კარგი იქნება, რომ ვთქვა/თ; თქვა/თ; თქვას/თქვან;
კარგი იქნებოდა, რომ მეთქვა/გვეთქვა; გეთქვა/თ; ეთქვა/თ;
ნეტავ მეთქვა/გვეთქვა; გეთქვა/თ; ეთქვა/თ; ვთქვა/თ; თქვა/თ; თქვას/თქვან;

ნეტავ, დედამ ყველაფერი **თქვას !**
ნეტავ, ადრე **მეთქვა!**
ძალიან მინდოდა, ბევრი რამე **გეთქვათ.**
ბებიას ძალიან უნდა, ჩემ შესახებ ყველაფერი **თქვას**.
მოდით, სიმართლე **ვთქვათ!**

4. ტექსტები, დიალოგები, სიტუაციური სავარჯიშოები:

წაიკითხეთ ტექსტი, დააკვირდით ,,თქმა'' ზმნის ფორმებს და განათავსეთ ისინი მოცემულ ცხრილში დროების მიხედვით!

ტექსტი

მე არასოდეს **მითქვამს** ლამაზი ვარ-მეთქი, მაგრამ დედა **მეუბნება,** ყველაზე ლამაზ ხარო. მე კი ასე ვამბობ, ყველაზე ლამაზი ჩემი დედაა. არასოდეს არ **მითქვამს** და არც არავის **ვეტყვი** იმას, რასაც ჩემს დედას **ვეუბნები.** ჩემი მშობლები **ამბობენ,** თურქეთში ნათესავები გვყავსო, ბებიამაც ასე **თქვა,** ბევრი არიანო. ეს ამბავი ბებოს ადრე რომ **ეთქვა,** უკეთესი იქნებოდა. სხვებსაც **ვეტყოდით,** გავიცნობდით ერთმანეთს.

მე ყოველთვის წინასწარ **ვამბობ** ყველაფერს და მერე არ მისრულდება. მართალია, ძველად რომ **ამბობდნენ,** დროზე ადრე არაფერი **თქვაო.** ჩვენ **ვამბობთ** იმას, რასაც ვფიქრობთ? ჩემი და ყოველთვის საწინააღმდეგოს **ამბობს.** ნეტავ, ადამიანები მუდამ სიმართლეს **ამბობენ?** თქვენ უნდა **თქვათ** სიმართლე და დანარჩენი მათი საქმეა. ჩვენც **ვთქვათ** სიმართლე და იქნებ მოგვისმინონ. მერე **იტყვიან,** რატომ არ გაგვაფრთხილეთო. ჩვენ კი **ვამბობდით,** მაგრამ არავინ არ გვისმენდა. ნეტავ, ყველამ სიმართლე თქვას!

ახლანდელი	**წარსული**	**მომავალი**	**წარსული შედეგობითი**	**სასურველი მოქმედება**
ვეუბნები				

დიალოგი-1:

-ამბობთ, რომ მალე დათბება?

-**ვამბობ,** მალე **დათბება-მეთქი.**

-რა **თქვით**, როდის მოვალო?

-ერთ საათში მოვალ.

-ის სიმართლეს **იტყვის?**

-ის არ ვიცი, მე **ვიტყვი** ჩემს სათქმელს.

-ჩვენ გადავწყვიტეთ ექსკურსიაზე წასვლა, შენ რას **იტყვი?**

-მეც სიამოვნებით წამოვალ.

-მათ **თქვეს,** რომ ზამთრისთვის შეშას მოიტანენ?

-კი, აუცილებლად მოიტანენ.

-შენ რა, არასდროს არ **გითქვამს** ლექსი?

-არასოდეს.

დიალოგი-2:

-წინასწარ **ამბობ** და მერე არაფერი არ გამოგდის?

-შენ **ამბობ** იმას, რასაც ფიქრობ?

-ჩვენ **ვამბობთ,** მაგრამ არავინ არ გვისმენს?

-ისინი სიმართლეს **ამბობენ?**

შენ **გითქვამს,** ხვალ ლექციები არ ჩატარდებაო?

-არა,----------

-**იტყვი,** რომ არ ხარ მართალი?

-ისინი **იტყვიან** მალე მოვა თუ არა მასწავლებელი?

სავარჯიშო- 1. შეადგინეთ დიალოგი თქვენს მეწყვილესთან ერთად ,,ყველაზე ხშირად რას ამბობთ, რისი თქმა გინდათ, რა გინდოდათ გეთქვათ''?

1.----------

2.----------

1.----------

2.----------

1.----------

2.----------

1.----------

2.----------

1.----------

2.----------

სავარჯიშო -2.

მოცემულ წინადადებებში „თქმა'' ზმნის ფორმები გადაიყვანეთ სხვადასხვა პირში!

- მე **ვამბობ,** თუ არ იმეცადინებთ, გამოცდის ჩაბარება გაგიჭირდებათ.
- ის----------
- ერთხელ **თქვი** და აღარ გაიმეორო.
- მან----------
- მე **ვიტყვი** და გამგონი გაიგებს.
- შენ----------
- **ვეუბნებოდით** და არ გვიჯერებდნენ.
- თქვენ----------
- **შენ გითქვამს** გაწვიმდებაო?
- მათ----------
- მე მინდა **ვუთხრა** მას ახალი ამბავი.
- ჩვენ----------
- ნეტავ მართლა **უთხრან** მამის გადაწყვეტილება.
- მე----------
- დედა **ამბობს**, მალე დასასვენებლად წავალთო.
- ისინი----------
- წინათ **იტყოდნენ,** ნისლი დარს მოიყვანსო.
- შენ----------

სავარჯიშო- 3.

დააკავშირეთ!

მომავალი თაობა იტყვის ჩვენ შესახებ.	რა ვთქვა
რას ამბობენ ტელევიზიით?	საინტერესო ამბავს
დედას არ უთქვამს	ყველაფერს
ბოლოს და ბოლოს იტყვიან თუ არა	ტესტირება ადვილიაო.
ნეტავ	როდის მოვალო
მასწავლებელს უთქვამს	რა უნდა თქვას, რა აქვს სათქმელი
ვის უნდა ეთქვა ეს?	სიმართლეს
არ ვიცი	სტუდენტებს

დააკავშირეთ!

ვიტყვი	ისინი
იტყვიან	შენ
ვთქვით	ის
უთქვამს	მე
გითქვამს	თქვენ
იტყვის	მას
გეთქვათ	ჩვენ

სავარჯიშო -4.

ჩასვით „თქმა” ზმნის სწორი ფორმა!

1. ხშირად გაიმეორეთ, რა უნდა ----------სიტყვით გამოსვლისას.
2. შენ ----------, თუ მე ----------?
3. მასწავლებელმა ----------, ხვალიდან არდადეგები დაიწყებაო.
4. სტუდენტებმა----------, მეორე კურსი უფრო ადვილი იქნებაო.
5. რა ----------შენმა მეგობრებმა, მოეწონათ?
6. რა ჯობია ----------, თუ არა?
7. სიმართლის ---------- არასდროს არის გვიან.
8. ადრე----------და ახლაც---------- , მადრიდის „რეალი“ გაიმარჯვებსო!

დაიხსომეთ ფრაზები:

1. იფიქრე შენს მომავალზე!
2. ბათუმი წვიმიანი ქალაქია.
3. მე მიყვარს ჩემი ქალაქი.
4. ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების
5. თქვი მხოლოდ სიმართლე!
6. ენას კბილი დააჭირე!
7. ტყუილი დანაშაულია!

X თემა . სურვილის, შესაძლებლობისა და აკრძალვის გამოხატვა ქართულში

1. „არ“, „ვერ“ და „ნუ“ ნაწილაკთა სისტემა

არა- უარყოფა, კატეგორიული უარყოფა: არ წავალ, არ გავაკეთებ, არ დავწერ, არ მინდა და არ შევჭამ, შენ ამას არ გააკეთებ! არ წაიკითხო! არ გაბედო სახლიდან გასვლა!

ვერ - შესაძლებლობის არქონა, ვერ გაკეთება შეუძლებლობის გამო (სურვილი მაქვს, მაგრამ შესაძლებლობა -არა) : ვერ გავაკეთებ, ვერ ვისწავლი, ვერ მოვალ, ვერ ვახერხებ მოსვლას, მინდა, მაგრამ დროის გამო ვერ მივდივარ.

ნუ=აკრძალვა, თხოვნა: ნუ დაწერ! ნუ გაჰყვები! ნუ შეჭამ!... გთხოვ, ნუ წახვალ! გთხოვ, ასე ნუ დამელაპარაკები! ნუ დამელოდები, დაიძინე, გთხოვ! ნუ დატოვებთ კარს ღიად!

2. ზმნის პირის ნიშანთა სისტემა ქართულში

სუბიექტური პირისთვის (S -ის ცხრილი)

მხოლობითი	**მრავლობითი**
I ვ-------	I ვ-------თ
II --------	II ------- თ
III ----------ს /ა/ ო	III --------ეს / ენ / ნენ / ან / ნ

ობიექტური პირისთვის (O-ს ცხრილი)

მხოლობითი	**მრავლობითი**
I მ-------	I გვ-------
II გ--------	II გ------- თ
III ჰ, ს ;- --------	III ჰ, ს; - -------თ

კითხვა- ვკითხულობ (მე, მას)

ახლანდელი	**წარსული**	**მომავალი**	**წარსული შედეგობითი**	**სასურველი**
ვკითხულობ/თ	წავიკითხე/თ	წავიკითხავ/თ	წამიკითხავს/ წაგვიკითხავს	მინდა /გვინდა წავიკითხო/თ,
კითხულობ/თ	წაიკითხე/თ	წაიკითხავ/თ	წაგიკითხავს/თ	გინდა /თ წაიკითხო/თ
კითხულობს/ენ	წაიკითხა/ეს	წაიკითხავ/ენ	წაუკითხავს/თ	უნდა/თ წაიკითხოს/ნ

კითხვა-მიკითხავს (ის, მე, მას)

ახლანდელი	**წარსული**	**მომავალი**	**წარსული შედეგობითი**	**სასურველი**
მიკითხავს/ გვიკითხავს	წამიკითხა/ წაგვიკითხა	წამიკითხავს/ წაგვიკითხავს	წაუკითხავს	უნდა წამიკითხოს/წაგვიკითხოს
გიკითხავს/თ	წაგიკითხა/თ	წაგიკითხავს/თ	წაუკითხავს	უნდა წაგიკითხოს
უკითხავს	წაუკითხა	წაუკითხავს	წაუკითხავს	უნდა წაუკითხოს

3. **ნომინატიური (სახელობით ბრუნვიანი) კონსტრუქციები და მათი გამოყენება ერთპირიანი ზმნებისთვის**

ერთპირიანი ზმნა	**ორპირიანი ზმნა**		**სამპირიანი ზმნა**
	გარდამავალი	**გარდაუვალი**	
დგას **-ის (მაგიდა)**	წერს **-ის, მას** (ბავშვ-**ი წერილს)**	ეფერება-**ის, მას** **(დედა** შვილს)	უწერს **-(ის, მას, მას)** (მასწავლებელ-**ი** მოსწავლეს ბილეთს)
გოგო ტირის	**ბებია** ლობიოს თესავს	**დავალება** ეწერება ნანას	**დედა** ნინოს ოთახს ულაგებს
ხე იზრდება	**დედა** ოთახს ალაგებს	**ხე** ეზრდება ბავშვს	**ბებია** თამარს საქმეს გააკეთებინებს
ჩაი დუღს	**ნინო** წიგნს კითხულობს	**გამოცდა** ენიშნება სტუდენტს	ახმედ-**ი** ფატმას დავალებას **დააწერინებს**
დავით-**ი** ცურავს	ბავშვ-**ი** სურათს ხატავს	ფულ-**ი** ეგზავნება ძმას	ამხანაგ-**ი** მშობლებს წერილს უგზავნის
გაზეთ-**ი** იბეჭდება	პაციენტ-**ი** ფულს იხდის	წყალ-**ი** უთბება ბებიას	მამაჩემ-**ი** მე ტელეფონს მჩუქნის
ბიჭ-**ი** მღერის	ექიმ-**ი** ავადმყოფს სინჯავს	შარვალ-**ი** ეკერება გიორგის	მკერავ-**ი** მე კაბას მიკერავს

დაიხსომეთ!

ზღვა ლურჯია; **ლიმონ-ი** სასარგებლოა; **დედამიწა** ბურთივით მრგვალია; **თოვლი** თეთრია; **დედა** ყველაზე საყვარელია; **მზე** დედამიწას ათბობს; **თბილის-ი** საქართველოს დედაქალაქია; **ქართულ-ი** ჩემი დედაენაა...

ერგატიული (მოთხრობით ბრუნვიანი) კონსტრუქციები და მათი გამოყენება

ერთპირიანი ზმნა	**ორპირიანი ზმნა**	**სამპირიანი ზმნა**
იტირა მან (ბავშვ-**მა**)	დაწერა-**მან, ის** (ბავშვ-**მა** დავალება)	დაუწერა -**(მან, მას, ის)** (მასწავლებელ-**მა** მოსწავლეს ნიშანი)
წვიმა-**მ** გადაიღო	ბებია-**მ** კარგი ზღაპრები იცის	**დედა-მ** ნინოს ოთახი დაულაგა
დღე-**მ** იმატა	დედა-**მ** ოთახი დაალაგა	**ბებია-მ** თამარს საქმე გააკეთებინა
ღამე-მ იკლო	ნინო-**მ** წიგნი წაიკითხა	ახმედ-**მა** ფატმას დავალება დააწერინა
ბიჭ-**მა** გაცურა	ბავშვ-**მა** სურათი დახატოს	ამხანაგ-**მა** მშობლებს წერილი გაუგზავნა
დედამიწა-**მ** იტრიალა	სტუდენტებ-**მა** გამოცდა ჩააბარონ	მამაჩემ-**მა** მე ტელეფონი მაჩუქა

4. ტექსტები, დიალოგები, სიტუაციური სავარჯიშოები

წაიკითხეთ ტექსტი, მოცემულ ცხრილში განათავსეთ ნომინატიური და ერგატიულ ფორმიანი კონსტრუქციები

ტექსტი 1. ბავშვობიდან მინდოდა მხატვარი გამოვსულიყავი, სულ ვხატავდი, მაგრამ ფერებს კარგად ვერ ვარჩევდი. შემდეგ ვსწავლობდი სამხატვრო სასწავლებელში. მასწავლებელმა თქვა, ბევრი ხატოს და ფერებსაც მალე ისწავლისო. თავიდან დედა მიხატავდა, მეხმარებოდა, სულ ვნატრობდი, მალე დავხატავ თუ არა ლამაზად-მეთქი. მამა უკეთესად ხატავდა. დედაც კარგად ხატავს, მას ბევრი რამ დაუხატავს. ჩემმა კლასელებმა გამოფენა მოაწყვეს. მასწავლებლებმა და სტუმრებმა ნახატები მოიწონეს.

ნომინატიური კონსტრუქცია	**ერგატიული კონსტრუქცია**

წაიკითხეთ ტექსტი, უარყოფით ნაწილაკიან ზმნებს შეუცვალეთ რიცხვი!

ტექსტი 2. ჩემს ეზოში ბევრი ბავშვი ცხოვრობს. ჩვენ სულ ერთად ვიკრიბებით და ვთამაშობთ. ხშირად კარტს ვთამაშობთ. მართალია, ბებია გვეჩხუბება, კარტს **ნუ თამაშობთო!** მაგრამ **არ გვიკრძალავს.** თავიდან **ვერ ვთამაშობდი** კარგად, მაგრამ ახლა კარგად ვთამაშობ. ჩვენ **არ ვთამაშობთ** ფეხბურთს და კალათბურთს, იმიტომ, რომ **არ გვაქვს** დიდი ეზო. შენ თამაშობ კარტს ან რომელიმე თამაშს? არა, **არ ვთამაშობ, არ მიყვარს** და მოლოდ ვხატავ. თქვენც **ნუ დაკარგავთ** თამაშში დროს, უკეთესია ისწავლოთ!

მხოლობითი რიცხვი	**მრავლობითი რიცხვი**
ნუ თამაშობო.	ნუ თამაშობთო.

დაიხსომეთ!

ნუ დასცინი სხვასაო, გადაგხდება თავსაო.

ერთი მერცხალი გაზაფხულს **ვერ მოიყვანსო.**

ვკეცე, ვკეცე, **ვერ დავკეცე.**

ტყუილის მთქმელს მართალსაც **არ დაუჯერებენო.**

არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის **არა იზრუნოს.**

დიალოგი-1.

-ნინო, ხატავ თუ დავალებას წერ?

-არა, **არ** ვხატავ, ვწერ.

-რატომ, დრო არ გაქვს?

-დრო კი მაქვს, მაგრამ ხატვა **არ** ვიცი.

-გინდა, რომ ხატავდე?

-კი, ძალიან მინდა, ვეცადე, მაგრამ **ვერ** დავხატე.

-ნუ დახატავ, სანამ მასწავლებელი არ გასწავლის.....

-კარგი, აღარ დავხატავ.

-დღეს თავს როგორ გრძნობ?

-**ვერ** ვარ კარგად!

-ხომ არ გაგვესეირნა სადმე?

-მინდა, მაგრამ **არ** შემიძლია.

დიალოგი-2.

-დღეს გამოცდა გაქვთ?

-ვერ მეტყვით, უნივერსიტეტთან როგორ მივიდე?

-დედაშენს ვუთხრა, რომ ცუდად მოიქეცი?

-ოთახში არავინ არ არის?

არა, ----------

-სად მიდიხართ?

-ინგლისურში ახალი თემა მოამზადე?

არა, ----------იმიტომ, რომ----------

სავარჯიშო-1. ჩასვით სახელები შესაბამის ბრუნვებში

1. ახალი ფილმ--- დაიწყო.
2. გაზაფხულზე მერცხლებ---- ბრუნდებიან.
3. დედა--- გემრიელი სადილი მოამზადა.
4. დავით----და ქეთევან--- კარტს თამაშობენ.
5. მასწავლებელ----- სტუდენტებს დავალება მისცა.
6. ხვალ ანა და მისი მეგობრებ---- თეატრში წავლენ.
7. ნეტავ, დედაჩემ---- მალე ჩამოვიდოდეს!
8. ადამ--- მაგდას სურათი აჩუქა.
9. ძაღლების ლეკვებ--- ეზოში თამაშობდნენ
10. ნინო--- გაკვეთილი არ იცოდა და სკოლაში ვერ წავიდა.

სავარჯიშო-2. შეადგინეთ წინადადებები, გამოიყენეთ ზმნები და გამოყავით პირის ნიშნები:

მაქვს	**არ ამბობს**	**თქმა**	**ნუ წაიკითხავს**	**ვერ მოამზადა**	**დაწეროს**
	უნდა წავიდეს	**დაალაგოს**	**დათესა**	**გვქონდეს**	

ნიმუში: დედამ ოთახი დაალაგო-ს

სავარჯიშო-3.

დაუკავშირეთ სახელები და ზმნები ერთმანეთს სწორი ფორმით!

გურამ-----	დავალებას	ჩააბარ------
სტუდენტებ-----	**მათემატიკის**	ცხოვრობ----
მამაჩემ--- ი	თეატრში	**მასწავლებელი-ა**
მხატვარ-----	გამოცდა	წავიდ------
მარკეტში	ანკარაში	მოიტან------
მასწავლებლებ---	სურათს	წერ----
დედა და მამა	ხორცი	დახატავ----
ოჯახ-----	თემები	გაასწორო-----

დაიხსომეთ ფრაზები:

1. ახალ ამბებს ვიგებთ: გაზეთით, ფეისბუქით, ინტერნეტით.
2. ნუ მოაკლებთ ბავშვებს ყურადღებას!
3. ცეცხლთან თამაში არ შეიძლება.
4. მჩხავანა კატა თაგვს ვერ დაიჭერსო.
5. მეგობარს ნუ დაკარგავ!
6. ზარმაცები ღმერთს არ უყვარს.
7. ნუ დასცინი სხვასაო, გადაგხდება თავსაო!

XI თემა - თავაზიანობის გამოხატვა ქართულში

1. **თავაზიანობის გამომხატველ ფორმათა სისტემის ანალიზი და მათი ფუნქციური გამოყენება**

ვარ- გახლავართ **ხარ- ბრძანდებით** **არის- გახლავს//ბრძანდება** **გახლავთ//ბრძანდებიან**	**ამბობ-ბრძანებთ** **თქვი-ბრძანეთ** **გეტყვი-მოგახსენებთ**	**მოგეცი-მოგართვით** **მოგცემ-მოგართმევ**

ჭამე-მიირთვით **ვჭამე-გეახელით**	**მოდი-მობრძანდით** **მოვალ-გეახლებით**	**დაჯექი-დაბრძანდით** **ადექი-აბრძანდით**

მუშაობს-მოღვაწეობს	**გინდა-გნებავს** **გინდა-ინებეთ**	**მომეცი-მიბოძეთ/მომაწოდეთ** **აიღე-ინებეთ**

ტექსტი: როგორ ეცნობიან ერთმანეთს

-მოდი, გავიცნოთ ერთმანეთი.
-გავიცნოთ. მე ნანა მქვია. თქვენ რა გქვიათ?
-მე ტერეზა მქვია.
-ტერეზა საიდან ბრძანდებით?
-ახალციხიდან ვარ, აქ ვსწავლობ.
-სასიამოვნოა, მე თქვენი ქართული ენის მასწავლებელი გახლავართ. მიხარია, რომ გაგიცანით.
-მეც მიხარია, ჩვენ უკვე ნაცნობები ვართ.

დაიხსომეთ:

მაპატიეთ; ბოდიში//ბოდიშს გიხდით; უკაცრავად; გმადლობთ; თუ შეიძლება

2. საპასუხო ფორმები თავაზიან მიმართვაზე

- **-უკაცრავად, თქვენ ბრძანდებით** ბატონი დავითი?
- -დიახ**, მე გახლავართ.**
- -თქვენ ვინ **ბრძანდებით?-რა გნებავთ?**
- -მე თქვენი მაგისტრანტი ვარ, თქვენი კონსულტაცია მჭირდება, **თუ არ შეწუხდებით.**
- **-რას ბრძანებთ,** სიამოვნებით, ხვალვე შევხვდეთ.

- -უნივერსიტეტში რომელ საათზე **მობრძანდებით?**
- -დაახლოებით, 12 -ზე.
- -შევთანხმდით, გმადლობთ, **კარგად ბრძანდებოდეთ!**
- -მენიუ, **თუ შეიძლება!**
- **-სიამოვნებით,** ახლავე.
- **-**რას **მიირთმევთ?**
- -ორი საშუალო ზომის აჭარული ხაჭაპური გვინდა!
- -ახლავე **მოგართმევთ.**
- -ჩაის **მიირთმევთ** თუ ყავას?
- -ჩაი მოგვიტანეთ!
- **-ინებეთ,** გემრიელად **მიირთვით!**
- -გმადლობთ.

3. წოდებითი ბრუნვის ფუნქცია და მიმართვის ფორმები ქართულში

წოდებითი ქართულში მიმართვის ფორმაა

- რა გატირებს, **პატარავ?**
- **ჩემო საყვარელო დედიკო,** ძალიან მენატრები!
- **ადამ,** რას აკეთებ?
- **ჩიტო, ჩიტო, ნაცარავ,** ვის უგალობ, ვისა?
- **ცხვრებო,** ვისი ხართო?
- **ბავშვებო,** დღეს ახალი თემა უნდა ავხსნათ.
- **ქალბატონო თინათინ,** შეიძლება დაგელაპარაკოთ?
- **ერენ, წამოდი, გელოდები!**
- **მასწავლებელო,** შეიძლება გავიდე?
- **მეგობრებო,** ყველას გეპატიჟებით ჩემს დაბადების დღეზე.

მისალოცი ბარათი **ჩემო საყვარელო თამარ, გილოცავ უნივერსიტეტის წარმატებით დამთავრებას. შენ ჩემი საუკეთესო მეგობარი ხარ, ჭკვიანი და განათლებული. მჯერა, მომავალშიც კიდევ უფრო წარმატებული იქნები.** **თამარ, სულ მახსოვხარ, მენატრები და მიყვარხარ!** **შენი ელენე**

სიტუაციური სავარჯიშო:

გაითამაშეთ წყვილებში როლები მიმართვის ფორმების გამოყენებით:

ა) სტუდენტი და მასწავლებელი

ბ) დედა და შვილი

გ) ორი თანაკურსელი

გ) გიდი და ტურისტები

---

4. ნომინატიურ-ერგატიული კონსტრუქციები და მათი შეპირისპირებითი ანალიზი

ნომინატიური	ერგატიული
წყალი დუღს - **წყალი** ადუღდა	**წყალმა** **იდუღა**
ზღვა ღელავს - **ზღვა** აღელდა	**ზღვამ** **იღელვა**
დღე დიდდება - **დღე** გადიდდა	**დღე-მ** იმატა
გაზაფხულ-ი მოდის - **გაზაფხულ-ი** მოვიდა	**გაზაფხულმა** **შემოაბიჯა**
წვიმა იწყება - **წვიმა** დაიწყო	**წვიმა-მ** გადაიღო
ავტობუს-ი გადის-**ავტობუს-ი** გავიდა	**ავტობუს-მა** დააგვიანა
სახლ-ი შენდება -**სახლ-ი** აშენდა	

ბავშვ-ი ტირის	**ბავშვ-მა** იტირა
ქარ-ი უბერავს	**ქარ-მა** დაუბერა
კარუსელ-ი ტრიალებს	**კარუსელ-მა** იტრიალა
მზე ანათებს	**მზე-მ** გამოანათა
ლექცია დაიწყო	**ლექცია-მ** კარგად ჩაიარა

5. ტექსტი, დიალოგი, სიტუაციური სავარჯიშოები

წაიკითხეთ ტექსტი, გახაზეთ მიმართვისა და თავაზიანი ფორმები, ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქციები!

ქალბატონებო და ბატონებო, ძვირფასო სტუმრებო, სტუდენტებო! მოგესალმებით ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების სახელით. დღეს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მასპინძლობს ლექსიკოლოგთა მეორე საერთაშორისო კონფერენციას. ჩვენთან სტუმრად იმყოფებიან როგორც საქართველოს, ისე ევროპისა და აზიის ქვეყნების ლექსიკოლოგები. ჩვენმა ქართველმა და უცხოელმა კოლეგებმა საინტერესო მოხსენებები წარმოადგინეს. მოგახსენებთ, რომ კონფერენცია სამ დღეს იმუშავებს, მეოთხე დღეს დაგეგმილი გვაქვს კულტურული ღონისძიებები და ექსკურსიები. ვიმედოვნებთ, ჩვენი სტუმრები კმაყოფილი დარჩებიან. 12 საათზე კი ნება მიბოძეთ მიგიწვიოთ მსუბუქ სადილზე.

დიალოგი-1.

-რას მასპინძლობს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი?

კონფერენციას ვინ ესწრება?

რამდენ დღეს გაგრძელდება კონფერენცია?

რა ღონისძიებებია დაგეგმილი?

რომელ საათზეა მსუბუქი სადილი?

შეადგინეთ დიალოგი, გამოიყენეთ ფორმები:

არ გახლავთ; გმადლობთ; გეახელით; უმასპინძლა; მძღოლმა; ამობრძანდით; გნებავთ; ქალაქმა; ვინ ბრძანდებით? შაქრიანი თუ უშაქრო

1.----------

2.----------

1.----------

2.----------

1.----------

2.----------

1.----------

2.----------

1.----------

2.----------

სავარჯიშო-1. დაასრულეთ წინადადებები თავაზიანი ფორმებით!

1. პროფესორი უნივერსიტეტში----------(წასვლა)
2. სტუმრებო, გთხოვთ----------(შემოსვლა)
3. ---------- და საჭმელი ----------(დაჯდომა, ჭამა)
4. კიდევ რამეს ხომ არ ---------- ? (ჭამა)
5. მე თქვენი ქართულის მასწავლებელი----------(ყოფნა)
6. შესრულებულ სამუშაოს ხვალ----------(მოცემა)
7. როდის მოვაო, რა ----------(თქმა)
8. ეს თქვენი წიგნია, ----------(აღება)

სავარჯიშო- 2. შეცვალეთ მოცემული ზმნები თავაზიანი ფორმებით!

უცხოელი სტუმრები **ჩამოვიდნენ**	უცხოელი სტუმრები **ჩამობრძანდნენ**
	დაჯექით, მე ახლავე **მოვალ**
ნება **მომეცით**, **გითხრათ...**	
	ახლავე **ადგნენ და გავიდნენ** ოთახიდან
სად **მუშაობთ?**	
	რას **ამბობთ,** ეს არ **არის** სიმართლე
ისინი წუთი-წუთზე **მოვლენ**	
	დაჯექით, ტორტი **ჭამეთ**

სავარჯიშო-3.

დააკავშირეთ!

ნინო	პური	გახლავთ
უკაცრავად,	სუფრასთან	მოღვაწეობს?
ანგარიში,	ექიმი	ინებებთ!
სიამოვნებით,	სად	მომაწოდეთ
დესერტად	ახლავე,	მიირთმევთ?
მამათქვენი	თუ	გნებავთ?
საჩუქრად	რა	შეიძლება
ყველანი	ხილს	მობრძანდით

დაიხსომეთ ფრაზები:

1. ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა!
2. საქართველოო, ლამაზო, სხვა საქართველო სად არის?
3. მოხუცების მიმართ იყავით ყურადღებიანი.
4. მიირთვით ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი!
5. გეთაყვა, საჩუქრის შერჩევაში შეგიძლიათ დამეხმაროთ?

XII თემა. მთქმელის პოზიცია

1. **სუბიექტური და ობიექტური წყობის ზმნები და მათი კონსტრუქციები**

პირის ნიშანთა სისტემა

სუბიექტური პირის ნიშნები **ობიექტური პირის ნიშნები**

მხოლობითი	**მრავლობითი**	**მხოლობითი**	**მრავლობითი**
I **ვ**-------	I **ვ**-------**თ**	I **მ**-------	I **გვ**-------
II --------	II ------- **თ**	II **გ**--------	II **გ**------- **თ**
III ------- **ს** /**ა**/ **ო**	III --------**ეს** / **ენ** / **ნენ** / **ან** / **ნ**	III **ჰ**, **ს** ;- --------	III **ჰ**, **ს**; - -------**თ**

დაიხსომეთ!

ერთპირიანი ზმნები მხოლოდ სუბიექტური წყობისაა, ე.ი. ისინი ასახავენ სუბიექტის პირსა და რიცხვს: ვთბები, ვშრები, დგება, წვება, დგებიან, თბებით...

ორ და სამპირიანი ზმნები სუბიექტური წყობისაცაა და ობიექტურიც, ე.ი. ამ ფორმებში სუბიექტური პირიც არის და ობიექტურიც: **ვამზადებ, ამზადებ, ამზადებს, ვამზადებთ, ამზადებთ, ამზადებენ; მამზადებს, გამზადებს, ამზადებს, გვამზადებს, გამზადებთ, ამზადებს.**

გამონაკლისია:

ა) **„ვიცი"** ზმნა, რომელსაც მხოლოდ სუბიექტური წყობა აქვს: ვიცი, იცი, იცის, ვიცით, იცით, იციან (არა გვაქვს: მიცი, მიცის, მიციან).

ბ) მხოლოდ ობიექტური წყობისაა : **მძინავს,** გძინავს, სძინავს...(არა გვაქვს: ვძინავ, სძინავ..

სუბიექტური წყობა	**ობიექტური წყობა**
ვ-წერ - **მე** მას მას	**მ-წერს** - ის **მე** მას
ვ-წერდი- **მე** მას მას	**მ-წერდა** -ის **მე** მას
მი-**ვ-წერ** **მე** მას მას	მო-**მ-წერს** -ის **მე** მას
მი-**ვ-წერე-მე** მას ის	მო-**მ-წერა** -მან **მე** ის
მი-**ვ-წერო** - **მე** მას ის	მო-**მ-წეროს**-მან **მე** ის

- მე ყოველ საღამოს **ველაპარაკები** დედას და ისიც **მელაპარაკება.**
- ხან მე **ვურეკავ** ნინოს, ხან ის **მირეკავს** მე.
- ჩვენ **ვეხმარებოდით** ამხანაგებს, ისინიც **გვეხმარებოდნენ.**
- მოდით, ჩვენ დღეს **მივწეროთ**, ისინი ხვალ **მოგვწერენ.**
- პაულ, **დაელაპარაკე** მასწავლებელს ამის შესახებ და ისიც **დაგელაპარაკება.**
- ნინო, ის თქვენ **გწერთ** წერილებს?
- დედაჩემი ხელოსნებს **უმზადებს** სადილებს და ჩვენც **გვიმზადებს.**
- ის ამ სურათს შენ **გიხატავს,** ის კი თქვენ **გიხატავთ.**
- ბებიას სათვალე მე **მივეცი,** ბაბუას კი ჩემმა ძმამ გაზეთი **მისცა.**
- ამ დავალებას მე **ვამზადებ,** ამას კი მასწავლებელი **მამზადებინებს.**

2. „მეუბნება-ვეუბნები“ ზმნების ფორმათა ფუნქციური ანალიზი და მათი გამოყენება

სუბიექტური წყობა	**ობიექტური წყობა**
ვ-ეუბნები - **მე,** მას, მას	**მ-ეუბნება** - ის, **მე,** მას
ვ-ეუბნებოდი - **მე,** მას, მას	**მ-ეუბნებოდა** - ის, **მე,** მას
ვ-ეტყვი - **მე,** მას, მას	**მ-ეტყვის** - ის, **მე,** მას
ვ-უთხარი - **მე,** მას, ის	**მ-ითხრა** - მან, **მე,** ის
ვ-უთხრა - **მე,** მას, ის	**მ-ითხრას** - მან, **მე,** ის

- მე ჩემს დას ყველაფერს **ვეუბნები,** ის კი არაფერს მეუბნება.
- ადრეც **ვეუბნებოდი** ამის შესახებ, მაგრამ არაფერს **მეუბნებოდა.**
- დარწმუნებული ვარ, სიმართლეს **ეტყვი,** ისიც **გეტყვის** თავის სათქმელს.
- მე **ვუთხარი,** ბათუმში რომ ვარ, მან **მითხრა**- მეცო.
- ვნახოთ, რას **გეტყვის** ექიმი? -**მეტყვის**, რომ დიეტა უნდა დავიცვა.
- რა **გითხრა** მასწავლებელმა?-**მითხრა,** კარგი გოგო ხარო.
- ეგებ, მეც **ვუთხრა** ყველაფერი და მანაც **მითხრას.**

3. ნომინატიურ-ერგატიული კონსტრუქციები და მათი შეპირისპიებითი ანალიზი

ნომინატიური	**ერგატიული**
მამა ნინოს ახალ ამბავს ეტყვის (**მომავალი** დრო).	**მამა-მ** ნინოს ახალი ამბავი უთხრა (**წარსული**).
თამარ-ი ლექსს ამბობს (**ახლანდელი დრო**).	**თამარ-მა** ლექსი თქვა (**წარსული**).
ლექტორ-ი დღეს იტყვის, როდისაა გამოცდა (**მომავალი**).	**ლექტორ-მა** თქვა, გამოცდა გექნებათო (**წარსული**).
დავით-ი ამბობს: დღეს ჩემთან გეპატიჟებითო (**ახლანდელი**).	**დავით-მა** გვითხრა: დღეს ჩემთან გეპატიჟებითო (**წარსული**).
სტუდენტ-ი იტყვის, თემა არ მიწერიაო (**მომავალი**).	**სტუდენტ-მა** თქვა, თემა არ მიწერიაო (**წარსული**).

- **მატარებელი** საღამოს 9 საათზე გადის.
- თბილისის **მატარებელმა** 1 საათი დაიგვიანა.
- **ქარი** ქრის, **ფოთლები** მიქრიან.
- **ქარმა** დაბერა და **ფოთლები** წაიღო.
- **წვიმა მასველებს.**
- **წვიმამ** დამასველა.
- **მზე** დედამიწას ათბობს.
- **მზემ** დედამიწა გაათბო.
- **ბიჭი** მამას სურათს ჩუქნის.
- **ბიჭმა** მამას სურათი აჩუქა.
- **ბებია** შვილიშვილს მიწას აბარვინებს.
- **ბებიამ** შვილიშვილს მიწა დააბარვინა.

4. ტექსტები, დიალოგები, სიტუაციური სავარჯიშოები

ტექსტი-1. მინდა **გითხრა,** რომ ზაფხული ჩემთვის წელიწადის საუკეთესო დროა. თუმცა არ შემიძლია, არ **ვთქვა** სიმართლე და **ვიტყვი** კიდეც გულწრფელად, რომ დანარჩენი სამი დროც შესანიშნავია. ჩემი მეგობრები **ამბობენ,** ზამთარს არაფერი შეედრებაო და მართალსაც **ამბობენ.** ფაფუკი თოვლი, თხილამურებით სრიალი კარგ განწყობაზე მაყენებს. ხშირად **ვიტყვი:** არდადეგებზე ბაკურიანში წავალ-მეთქი, მაგრამ დედა **მეუბნება,** მეშინია, რამე არ დაიშავოო. მეც უარს ვერ **ვეუბნები.** არასოდეს **მითქვამს** დედისთვის რაიმე საწყენი. გუშინ მეგობრებმა დამირეკეს და **მითხრეს,** ჩვენ ვიფიქრეთ და გადავწყვიტეთ, ბათუმში წავიდეთ დასასვენებლადო. მეც გამიხარდა, დედაჩემს **ვეტყვი** და ისიც გაიხარებს. ისე კი ყველას **ვეუბნები,** დედის აზრს დიდ პატივს ვცემ-მეთქი და დედა რასაც **მეუბნება,** ვცდილობ, შევასრულო.

ტექსტი-2. ნაყინი ყველას, და მეც განსაკუთრებით მიყვარს. რა იცით მის შესახებ? ალბათ, ბევრმა არაფერი იცის. ვიცი, რომ ნაყინის ისტორია 3000 წლის წინ ჩინეთში დაიწყო. იტალიაში ნაყინის რეცეპტი მარკო პოლომ შეიტანა. მისი გასინჯვის უფლება თავიდან მხოლოდ უფლისწულებს ჰქონდათ. პარიზში პირველი სანაყინე მუსიე ჯოზეფმა გახსნა, ამერიკაში- ფილიპ ლენელმა. ისიც ვიცი, ამერიკელმა დიასახლისმა ნენსი ჯონსონმა ნაყინის დამამზადებელი აპარატი გამოიგონა. 1919 წელს ქრისტიან ნელსონმა შოკოლადის მინანქრით ნაყინი გააკეთა და იგი ჯოხზე წამოაცვა. ასე მივიღეთ გემრიელი ესკიმო. ამის შემდეგ ბევრს ეცოდინება ნაყინის ისტორია.

დიალოგი-1:

-რა ხდება თქვენს სკოლაში?

-დამრიგებელმა **გვითხრა,** წელს სკოლა იუბილარია და კარგად მოემზადეთო.

-**ეტყვით** მშობლებს და ახლობლებს?

-რა **თქმა** უნდა, ყველას **ვეტყვით.**

-რა ღონისძიებების ჩატარებას აპირებთ?

-სტუმრებს მოვიწვევთ, **ვიცით,** რომ ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულებიც მიიღებენ მონაწილეობას.

-ისინი რას **იტყვიან?**

-**იტყვიან,** რომ დღესაც ენატრებათ ბავშვობა, სკოლის წლები.

-შენ არ **გითქვამს,** რომ მამაშენიც ამ სკოლის კურსდამთავრებულია?

-ჰო, არ **მითქვამს** და ახლა ვამბობ.

-კარგია, ყველას ვეტყვი ჩვენი სკოლის შესახებ.

დიალოგი-2:

-ყოველთვის ამბობთ სიმართლეს?

-სინოპტიკოსები რას აცხადებენ, როგორი ზაფხული იქნებაო?

-ქართულის მასწავლებელმა გასაუბრებაზე როდის დაგიბარათ?

-თვის ბოლოს გამოცდა გექნებათ?

-რა იცით შოთა რუსთაველის შესახებ?

-უცხოელებმა რა იცით ჩვენი უნივერსიტეტის შესახებ?

-გინდათ ჩვენთან სწავლის გაგრძელება?

-არდადეგებზე ბათუმი მოგენატრებათ?

სავარჯიშო-1. შეადგინეთ წინადადებები ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქციების გამოყენებით!

1.----------

2.----------

3.----------

4.----------

5.----------

6.----------

7.----------

8.----------

9.----------

10.----------

სავარჯიშო-2. ჩასვით სიტყვები ნომინატიურ-ერგატიულ კონსტრუქციებში.

1.---------- მონატრება იცის **(ზღვა);**

2.მოვიდა ----------და გაგვახალისა **(გაზაფხული)**;

3.----------თბილი ქვეყნებიდან მოფრინდნენ, ----------გაზაფხული გვახარეს **(ფრინველები, მერცხლები);**

4.----------მშობელთა კრება მოიწვია **(დირექტორი);**

5.----------სიმართლეს ამბობს,----------კი სიმართლე არ მითხრა (ნანა, ელენე);

7.რა გითხრათ **----------? (მასწავლებელი);**

8.ჩემმა ----------დაბადების დღეზე დამპატიჟა **(კლასელი);**

9.----------დღეს ბოტანიკურ ბაღს სტუმრობენ **(ტურისტები);**

10.ბათუმის თეატრში ----------წარმოდგენა გამართეს **(მსახიობები)**

სავარჯიშო-3. დააკავშირეთ!

ახალი	**ბათუმში**	**შემოვიდა**
მეზობლებმა	**მალე**	**მდიდარია**
გემი	**სერიალი**	**წაგვიყვანა**
გამოცდები	**ეზო**	**გადაიღო**
მასწავლებელმა	**ხილით**	**დაიწყო**
წვიმამ	**თვის**	**ჩააბარა**
შემოდგომა	**გამოცდა**	**დაასუფთავეს**
მარიამმა	**ექსკურსიაზე**	**ბოლოსაა**

დაიხსომეთ ფრაზები:

1. მადლი ჰქენი, ქვაზე დადე, გაიარე, წინ დაგხვდება!
2. თავისუფალი ადამიანი ბედნიერია.
3. კარგი მეზობელი ნათესავზე უკეთესია.
4. დედისათვის შვილი ყოველთვის პატარაა.
5. კარგი შვილი დედის გულის ვარდიაო.

XIII თემა - ნათქვამის გამეორება

პირდაპირი და ირიბი ნათქვამი

1. პირდაპირი და ირიბი ნათქვამი

პირდაპირი ნათქვამი	**ირიბი ნათქვამი**
მე გითხარი:-ეზოში არ გახვიდე! → -→ **ჩვენ** გითხარით: -ეზოში არ გახვიდე! → -→ მამას უთხარი: - სტუმრები მოვიდნენ. → -→ **ბებიამ** თქვა:- სადილი მზად არის. → -→	**მე** გითხარი, ეზოში არ გახვიდე-**მეთქი!** **ჩვენ** გითხარით, ეზოში არ გახვიდეო**!** მამას უთხარი, სტუმრები მოვიდნენ-**თქო.** ბებიამ თქვა, სადილი მზადაა**ო.**

2. კონსტრუქციები სხვადასხვა შინაარსობრივი მნიშვნელობის გადმოსაცემად

ა) პირდაპირი ნათქვამი:

- **ლექტორმა** გვითხრა: - გამოცდა ხვალ **გექნებათ.**
- **მე** მივწერე: -ხვალ **მოვდივარ**.
- **მაგდანამ** თქვა: -მე პოლონეთში **მივდივარ**.
- **ჩვენ** გითხარით: -ავტობუსის გაჩერებაზე დამელოდეთ!
- **ფატმას** უთხარი: - ლეილა **მოვიდა.**

ბ) ირიბი ნათქვამი:

- **ლექტორმა** გვითხრა, გამოცდა ხვალ **გექნებათო.**
- **მე** მივწერე, ხვალ **მოვდივარ-მეთქი.**
- **მაგდანამ** თქვა, მე პოლონეთში **მივდივარო.**
- **ჩვენ** გითხარით, ავტობუსის გაჩერებაზე **დამელოდეო!**
- **ფატმას** უთხარი, ლეილა **მოვიდა-თქო**.

3. სხვათა სიტყვის გამომხატველ ნაწილაკთა სისტემა და მისი გამოყენება

მეთქი < მე ვთქვი (ამბობს I პირი); **ჩვენ** (მრავლობით რიცხვი)**-ო**	**თქო < თქვა** (ამბობს II პირი)	**-ო** (ამბობს I I I პირი)

1.

- მე ხომ გაგაფრთხილეთ, ვერ **წამოვალ-მეთქი.**
- უკვე დავურეკე, **მოვდივარ-მეთქი.**
- რამდენჯერ გაგაფრთხილე, ნუ **იტყუები-მეთქი.**
- ჩვენ ვთქვით, ექსკურსიაზე **წავიდეთო.**
- ჩვენ ვიფიქრეთ, **გავისეირნებთო.**

2.

- ნანას უთხარი, მალე **გამოგივლიან-თქო.**
- ბებიას შეატყობინე, ხვალ სტუმრები **მოდიან-თქო.**
- ადამ, თამარს უთხარი, ნინო დავალებას წერს და შენი დახმარება **სჭირდება-თქო.**
- დედას უთხარი, ხელოსანი **მოვიდა-თქო.**
- ასე გადაეცით, ერთ საათში ბათუმში **იქნებიან-თქო.**

3.

- ომერმა თქვა, ლექციაზე **დამაგვიანდაო.**
- ერენმა გვითხრა, ხვალ ჩემთან **მოდითო.**
- მასწავლებელმა გვითხრა, ტესტი ყველამ კარგად **დაწერეთო.**
- დეკანმა გაგვაფრთხილა, ლექცია არავინ **გააცდინოსო.**
- ელენემ გვითხრა, ავად ვარ, სიცხე მაქვს, ლექციაზე ვერ **ვიქნებიო.**

4. „ჯერ" ნაწილაკით განმეორებითი მოქმედების გამოხატვა

-ჯერ
რამდენჯერ?
ერთჯერ (ერთხელ), სამჯერ, ათჯერ,
ბევრჯერ, მრავალჯერ...

- **ასჯერ** გაზომე და **ერთხელ** გაჭერი!
- ნინომ ლექსი **სამჯერ** წაიკითხა.
- **ბევრჯერ** გითხარით, ნუ აგვიანებთო.
- **რამდენჯერმე** დავრეკე და ვუთხარი.
- კარებზე **ორჯერ** დავაკაკუნე.
- კიდევ **ორჯერ** წაიკითხე და კარგად გეცოდინება.

5. ნომინატიურ-ერგატიული კონსტრუქციები და მათი შეპირისპირებითი ანალიზი (სამპირიანი ზმნებისთვის) ახლანდელი დრო

- **დედა** თამარს ახალ კაბას უკერავს- **ის, მას, მას**
- **ბებია** შვილიშვილს წინდას უქსოვს.
- **მხატვარ-ი** გიორგის სურათს უხატავს

- **მასწავლებელ-ი** მოსწავლეს დავალებას უმოწმებს.
- **ექიმ-ი** ავადმყოფს წამალს უწერს.

წარსული დრო

- **დედა-მ** თამარს ახალი კაბა უყიდა**(მან, მას, ის)**
- **ბებია-მ** შვილიშვილს წინდა მოუქსოვა.
- **მხატვარ-მა** გიორგის სურათი დაუხატა.
- **მასწავლებელ-მა** მოსწავლეს დავალება შეუმოწმა.
- **ექიმ-მა** ავადმყოფს წამალი გამოუწერა.

6. ტექსტები, დიალოგები, სიტუაციური სავარჯიშოები

- **წაიკითხეთ ტექსტი, გაარკვიეთ, რომელია პირდაპირი ნათქვამი და რომელი ირიბი.**

ჩვენი კლასი

ჩვენს კლასში ოცდახუთი მოსწავლეა, 13 ბიჭი და 12 გოგო. ამათგან 3 სომეხია, 2 - აზერბაიჯანელი. მასწავლებელმა გვითხრა, ერთმანეთი გიყვარდეთო, ერთმანეთს გაუფრთხილდითო. სახლში დედაც ასე მეუბნება: - ერთმანეთს არაფერი დაუშავოთ, თქვენ განუყრელი მეგობრები უნდა იყოთო. ვიცი, ძალიან გვეყვარება ერთმანეთი. დღეს ლეილა სკოლაში არ მოვიდა, შევწუხდით. მასწავლებელმა მოიკითხა, ლეილა სად არისო? ჩვენ ვუთხარით, არაფერი არ ვიცითო. გვისაყვედურა, ეს როგორ? თქვენი მეგობარი სკოლაში არ მოსულა, იქნებ რა უჭირს, ამბავი როგორ არ იკითხეთო? მე ხომ გითხარით, გულისხმიერები იყავით-მეთქი. ჩვენ ვუთხარით: - გაკვეთილების შემდეგ წავალთ და ამბავს გავიგებთ, თქვენ ნუ ინერვიულებთო. მართლაც, წავედით ლეილას სახლში, ის ავად იყო, სიცხე ჰქონდა. გადავეცით მასწავლებლის მოკითხვა და ვუთხარით, მალე გამოჯანმრთელდი, ყველას ძალიან გვიყვარხარო. იმანაც მასწავლებელთან მოკითხვა დაგვაბარა: ასე უთხარით, მეც მიყვარხარ-თქო.

- **წაიკითხეთ ტექსტი, ჩასვით სხვათა სიტყვის ნაწილაკები**

შეტყობინება მივიღეთ, მომავალ კვირას ჩვენს უნივერსიტეტში პოლონელი და თურქი სტუდენტები მოდიან. ქართული ენის მასწავლებელმა, ქალბატონმა ელენემ დაგვიბარა და გვითხრა: იცოდეთ, სტუმრებს კარგად უნდა დავხვდეთ----. ჩვენც ვუთხარით, ყველაფერს გავაკეთებთ, რაც საჭიროა, სტუმრებს კარგად დავხვდებით------. თამარმა თქვა: მამაჩემს ვთხოვე, მისი მანქანით სტუმრების შესახვედრად წავალთ, 2 საათზე აქ იქნება--. ძალიან კარგია---, თქვა ქალბატონმა ელენემ. მასწავლებელი ახლა დავითს და გიორგის მიუბრუნდა: თქვენს მშობლებსაც უთხარით, ქალბატონმა ელენემ გთხოვათ, თქვენი დახმარება გვჭირდება----- ბიჭებმა. აუცილებლად დაგვეხმარებიან---, უპასუხეს. ნინომ იკითხა, სტუმრები რომელ სასტუმროშო მიგვყავს---? სასტუმრო შერატონში--- -უპასუხა მასწავლებელმა. სადილის შემდეგ რა გეგმები გვაქვს---- -? იკითხა გურამმა. უნდა გავისეირნოთ----- მიუგო მასწავლებელმა.

ზემოთ მოცემული ტექსტი გადააკეთეთ დიალოგად!

ქალბატონი ელენე----------

სტუდენტები----------

თამარი----------

ქალბატონი ელენე----------

ბიჭები----------

ნინო----------

მასწავლებელი----------

გურამი----------

მასწავლებელი----------

დიალოგი-2.

- ნინო, გაკვეთილები მოამზადე?

-ლექსი რამდენჯერ წაიკითხე?

-კარგად არ იცი, ერთხელ კიდევ წაიკითხე!

-მასწავლებელმა რა თქვა, კრება როდის იქნებაო?

-მამას დაურეკე? ხომ გითხრა, შემატყობინე და კრებაზე წამოვალო.

-ალბათ, დაკავებული იყო, ვერ გიპასუხა, რამდენჯერმე დარეკე.

სავარჯიშო-1. ჩასვით საჭიროებისამებრ სხვათა სიტყვის ნაწილაკები: -მეთქი, -თქო. -ო.

1. მე ვთქვი, ეს კაბა ძალიან გიხდება----------
2. დედამ შემოგითვალა, საღამოს სტუმრად მოდი----------
3. ბებია უთხარი, წამლის დალევა არ დაგავიწყდეს----------
4. ჩვენ ვუთხარით, ნინო ცოტას დაიგვიანებს----------
5. დედას ეტყვი, მასწავლებელი სკოლაში გიბარებს----------

6. ხომ გითხარი, გამოცდას კარგად ჩააბარებ----------

7. ხომ გაგაფრთხილეთ, ბევრჯერ წაიკითხეთ----------

8. რამდენჯერ ვთქვი, ნუ იტყუები----------

9. დედას უთხარი, მამამ პური იყიდა----------

10. შენთან დამაბარა, რამდენიმეჯერ დავრეკე, მაგრამ არ მიპასუხა----

სავარჯიშო-2. დააკავშირეთ!

მასწავლებელმა თქვა	**ბილეთები**	**არ მიჭამია**
თქვენი	**ექსკურსიაზე**	**დავალება**
მერამდენედ	**მიდიხართ**	**წავიდეთო**
მეორედ	**ჯერ**	**-მეთქი**
თეატრის	**დახმარება**	**ვიყიდეო**
პომიდორი	**გადაწერა**	**მჭირდება-თქო**
რა	**ნუ იტყვი-**	**ვკითხე**
ტყუილს	**გინდა-მეთქი,**	**თურქეთში**

დაიხსომეთ ანდაზები

კარგი შვილი დედის გულის ვარდიაო.
ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო.
ნუ დასცინი სხვასაო, გადაგხდება თავსაო.
დედის წინ მორბენალ კვიცს ან მგელი შეჭამს, ან მგლის შვილიო.

XIV თემა
გადაადგილება-სვლისა და მიმართულების გამოხატვა ქართულში

1. გადაადგილება-სვლისა და მიმართულების გამომხატველი ზმნები



ახლანდელი დრო	წარსული დრო	მომავალი დრო	სასურველი მოქმედება	წარსული შედეგობითი
მოვდივარ/თ მოდიხარ /თ მოდის/მოდიან	მოვედი /თ მოხვედი/თ მოვიდა /ნენ	მოვალ /თ მოხვალ /თ მოვა /მოვლენ	მინდა/გვინდა მოვიდე/თ გინდა/თ მოხვიდე/თ უნდა/თ მოვიდეს/ნენ	მოვსულვარ/თ მოსულხარ/თ მოსულა/ნ

- ნინო სახლში **მიდის**, შენ სად **მიდიხარ?**
- 9 საათზე უნივერსიტეტში **მოვდივარ,** 2 საათზე თურქეთში **მივდივარ.**
- ვინ **უნდა მოვიდეს** ჩვენთან?
- ხვალ თქვენთან **გვინდა მოვიდეთ.**
- ჩემი მშობლები ევროპაში **მიდიან.**
- ნახე, რამდენი სტუმარი **მოსულა!**

- თუ კარგი ამინდი იქნება, ექსკურსიაზე **წავალთ.**
- **წამოხვალთ** ჩვენთან ერთად?

- მასწავლებელი როდის **მოვა?** -უკვე **მოვიდა.**
- მალე ჩვენი ამხანაგებიც **მოვლენ.**
- მითხარით, სად **წავიდა** გიორგი?
- რა კარგია, რომ დროულად **მოსულხართ!**

- გემი **მოცურავს.**
- ბაბუაჩემი ნელი ნაბიჯით **მოაბიჯებს.**
- ჰაქანი სტამბულიდან დღეს **მოფრინავს.**
- ბავშვი ქუჩაში **მირბის.**
- ხვალ სკოლაში **არ წახვალ?**
- თუ სიცხე არ მექნება, აუცილებლად **წავალ.**
- თვითმფრინავი ერთ საათში **გაფრინდება.**

2. ზმნისწინი და მისი ფუნქციები მიმართულების გამოხატვაში

ზმნებს: მი-სვლა, **მო**-სვლა, **წა**-სვლა, **ა**-სვლა, **ჩა**-სვლა, **შე**-სვლა, **გა**-სვლა , **გადა** , **ამო**-სვლა, **ჩამო**-სვლა, **შემო**-სვლა, **წამო**-სვლა, **გადა**-სვლა ერთი ფუძე აქვთ.



მი, წა	→	აქედან იქით	მო -	←	იქიდან აქეთ
ა-ამო	↑	ქვევიდან ზევით	და, ჩა- ჩამო	↓	ზევიდან ქვევით;
შე -შემო	←	გარედან შიგნით	გა-გამო -	→	შიგნიდან გარეთ;
გადა	→	აქედან იქით	გადმო	←	იქიდან აქეთ

3. -თან თანდებული და მისი მეშვეობით შედგენილი კონსტრუქციების ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი

-თან დაერთვის მიცემითი ბრუნვის ფორმას:

არსებით სახელს	**ზედსართავ სახელს**	**რიცხვით სახელს**	**ნაცვალსახელს**	**საწყისს**	**მიმღეობას**
დედა-ს-თან სკოლას-თან დასთან ძმასთან **წიგნ-თან** სახლთან	**პატარა-ს-თან** ვიწროსთან **დიდ-თან** თეთრთან მაღალთან ლამაზთან	**რვა-ს-თან** ცხრასთან ათთან ოცთან ორმოცთან ბევრთან	**ამა-ს-თან** ვი-ს-თან ვიღაცასთან **ჩემ-თან** მათთან ერთმანეთთან	**შრომა-ს-თან** სწავლასთან დაბადებასთან აღდგომასთან მხიარულებასთან **ტირილთან** წუხილთან	**მოსწავლე-ს-თან** **მასწავლებელ-თან** გამყიდველ-თან მოხუცთან მშენებელთან



- **ამხანაგთან** მივდივარ, უნდა ვიმეცადინოთ.
- **სახლთან** იდგნენ და გველოდებოდნენ.
- **უნივერსიტეტთან** სტუდენტები იკრიბებიან.
- **დიდთან** დიდი უნდა იყო, **პატარასთან** პატარა.
- ისარი **თორმეტთან** რომ მივა, დაიძინე!
- **სწავლასთან** და **შრომასთან** ერთად დასვენებაა საჭირო.
- **ხშირად ფიქრებთან** მარტო ვრჩები.
- **ვისთან** თამაშობს ჩვენი ნაკრები?
- ის **ყველასთან** ჩხუბობს.
- **მეზობელთან** ვარ, ყავას ვსვამთ.
- წინა **წლებთან** შედარებით მდომარეობა გამოსწორდა.
- **მხატვართან** შეხვედრა მაქვს.

4. ნომინატიურ-ერგატიული კონსტრუქციები და მათი შეპირისპირებითი ანალიზი (შუალობითი კონტაქტი-**ინ და ევინ** ფორმები)

ხატავ ს- ის, მას→ **ახატვ-ინ-ებ ს-** ის, მას, მას; **დახატ ა**-მან, ის-→ **დაახატვ-ინ-ა-** მან, მას, ის;
ჭრი ს- ის, მას -→ **აჭრ-ევინ-ებ-ს** -ის, მას, მას; **მოჭრ-ა-** მან, ის-→**მოაჭრ-ევინ-ა** - მან, მას, ის;

- ინ		-ევინ	
სწორია	**არასწორია**	**სწორია**	**არასწორია**
აწერინებს	აწერიებს	აკვლევინებს	აკვლევიებს
ალაგებინებს	ალაგებიებს	აჭრევინებს	აჭრევიებს
აკერინებს	აკერიებს	ათესვინებს	ათესვიებს
ატეხინებს	ატეხიებს	აშლევინებს	აშლევიებს
აბეჭდვინებს	აბეჭდიებს	აწვევინებს	აწვევიებს
ამზადებინებს	ამზადებიებს	ახარშვინებს	ახარშვიებს
აკეთებინებს	აკეთებიებს	აცვლევინებს	აცვლევიებს

1. **ნომინატიური კონსტრუქცია**

- **ბებია** შვილიშვილს დავალებას **აწერინებს** (ახლანდელი დრო)
- **ნინო** დედას სახლს **ალაგებინებს** (ახლანდელი დრო)
- **ჩემი და** მკერავს ახალ კაბას **აკერინებს** (ახლანდელი დრო)
- **მეგობრები** თამარს თემას **ამზადებინებდნენ** (წარსული დაუმთავრებელი)
- **მამაშენი** მამაჩემს ყანას **დაათესვინებს?** (მომავალი დრო)
- **მეზობელი** ბებიას ქათამს **დააკვლევინებს** (მომავალი დრო)

2. **ერგატიული კონსტრუქცია**

- **ბებიამ** შვილიშვილს დავალება **დააწერინა** (წარსული დრო)
- **ნინომ** დედას სახლი **დაალაგებინა** (წარსული დრო)
- **ჩემმა დამ** მკერავს ახალი კაბა **შეაკერინა** (წარსული დრო)
- **მეგობრებმა** თამარს თემა **მოამზადებინონ** (ბრძანებითი კილო)
- **მამაშენმა** მამაჩემს ყანა **დაათესვინოს?** (ბრძანებითი კილო)
- **მეზობელმა** ბებია ქათამი **დააკვლევინა** (წარსული დრო)

5. ტექსტები, დიალოგები, სიტუაციური სავარჯიშოები

წაიკითხეთ ტექსტი 1 და მოძებნეთ მასში ნომინატიურ-ერგატიული კონსტრუქციები!

1. არდადეგები

ცხელი ზაფხული დადგა. სკოლა მოიხსნა. ქალაქს ბუღი ასდის. თითქმის დაცარიელდა ქალაქი. მამამ გვითხრა: ხვალ ადრე ადექით, სოფელში **უნდა წავიდეთო.** ძალიან გაგვიხარდა. ჩავალაგეთ ჩვენი ნივთები, წიგნები, რვეულები და ადრიანად **გავემგზავრეთ.** ჩვენი მეგობრებიც **წავიდნენ** სოფელში. ამ დროს სოფელი სავსეა. ქალაქიდან **ჩამოდიან** ბავშვები. ჩვენ ერთად ვთამაშობთ, **დავდივართ** ტყეში, მდინარეზე. ისე მხიარულად **გადის** დრო, რომ ვერც კი ვიგებთ ზაფხულის **გასვლას.** ცოტაც და ისევ ქალაქში **დავბრუნდებით,** შევუდქებით სწავლას იმ იმედით, რომ გაისადაც სოფელში **წავალთ.**

წაიკითხეთ ტექსტი-2, ზმნები განათავსეთ ცხრილში დროების მიხედვით და მიუთითეთ კონსტრუქციები!

2. სოფელი

სოფელში საგაზაფხულო სამუშაოები დაიწყო. ჩვენს სახლს ირგვლივ დიდი ბოსტანი აქვს. ბებიას ძალიან უყვარს ბოსტანში მუშაობა. მე და ბაბუაც ვეხმარებით. ბაბუაჩემი მიწას **აბარვინებს**, მე **ვათესვინებ**. მიყვარს მიწის სურნელი. ბებია ამბობს: თუ ბოსტანს კარგად მოვუვლით: დროულად **დამაბარვინებთ, დამათესვინებთ, მომარწყვევინებთ-** მოსავალიც კარგი გვექნებაო. ამ დროს ჩემი უფროსი და დედას ეხმარება: სახლს **ალაგებინებს, სადილს ამზადებინებს.** ჩემმა უფროსმა ძმამ კი სხვა სოფელში ყოფნა ამჯობინა. მან ნათესავებს მიწა **დაამუშავებინა, დაახვნევინა. იყოჩაღეს** ჩვენმა ოთხფეხა მეგობრებმაც - ძაღლმა კატას თაგვი **დააჭერინა.**

ახლანდელი	წარსული	მომავალი

სიტუაციური სავარჯიშო 1.-ტექსტში ჩასვით შესაბამისი თანდებული!

1. ღობეს..... მოჩანდა ძველი სასიმინდე. 2. ხან მდინარეს..... მივიდოდით, ხან ტბას.....3. ხან ერთ.....მივყავდით, ხან მეორეს.....4. დედაჩემს საქმეს..... ერთად გართობაც შეეძლო. 5. ბებია მივიდა კარადას..... და ძველი ნივთები ამოიღო. 6. კერას..... ცეცხლის ახლოს ძაღლი იწვა. 7. როდესაც ახლოს მივედი, ფეხებ..... ტალახი ვიგრძენი. 8. შენ.....ყოფნა მინდაო, მითხრა. 9. აღელვებულ მდინარეს..... ახლოს ნუ მიხვალთ. 10. მცხეთა თბილისს.....ახლოსაა.

სიტუაციური სავარჯიშო 2. ტექსტში ჩასვით სვლა-მიმართულების გამომხატველი ზმნისწინები!

1. ჩვენი თვითმფრინავი ბათუმიდან დილის 7 საათზე .....ფრინავს. 2. დედაშენი სტამბულიდან რომელ საათზე .....ფრინავს? 3. სკოლიდან სახლში უკვე .....დიხარ? 4. არა, ჯერ ვერ .....ვდივარ, გამოცდა მაქვს. 5. სტუმრები თბილისიდან ხვალ .....დიან. 6. თქვენ როდის .....დიხართ თურქეთში? 7. იცოდეთ, ხვალ თქვენც .....ხვალთ ექსკურსიაზე. 8. ნეტავ, როდის .....ვალთ სოფელში? 9. მასწავლებელთან .....ვედით და ვუთხარით სიმართლე. 10. თუ ცუდად მოიქცევი, ვერსად .....ხვალ!

დიალოგი 1.

-მაგდა, სად **მიდიხარ?**

-სახლში **მივდივარ,** ლექციები დამიმთავრდა, შენ სად **მიდიხარ?**

-მე ბიბლიოთეკაში **მივდივარ**, თემა უნდა დავწერო.

-ამ ზაფხულს სად **მიდიხართ?**

-ზუსტად არ ვიცი, ალბათ, ანტალიაში **წავალთ** დასასვენებლად.

-ძალიან კარგია, მეც სიამოვნებით **წამოვიდოდი!**

-**წამოდი** ჩვენთან ერთად, კარგად გავერთობით.

-დღეს პაულის დაბადების დღეზე **მიდიხარ?**

-აუცილებლად **წავალ,** მაგრამ მოგვიანებით.

-ხვალ ჩემი დაბადების დღეა, **მოდით,** გთხოვთ!

-კარგი, **მოვალთ,** ნახვამდის, შეხვედრამდე!

შეადგინეთ დიალოგი, ჩამოთვლილი ზმნებიდან შეარჩიეთ სწორი ფორმები: მოსვლა, მივდივარ, გადის, ადის, წავედი, წასულა, ჩამოვიდნენ, მოსულან, მიდიხარ, წასვლა.

-მე ხვალ ექსკურსიაზე მივდივარ, შენც ----------?

-არა,----------

-ასე ნაადრევად სად გინდა----------?

გუშინ ჩემი----------გაიგე?

-არა, შენი---------- ვერ გავიგე, მეძინა.

-რომელ საათზე ----------ავტობუსი?

-სად ხარ?

-უკვე ----------სახლში ვარ.

-თქვენი სტუმრები ბათუმში ----------?

-კი, ---------- და უნივერსიტეტშიც ----------.

-როდის გინდა თბილისში ----------?

-ალბათ, ერთ კვირაში.

-ზევით ვინ ----------?

-ჩემი და ----------

-დღეს ადამი ნახე?

-ვერ ვნახე, უკვე პოლონეთში----------.

დააკავშირეთ!

მატარებელი	მოდის
ზღვაზე	მოდიან
თეატრთან	გადის
გიორგისთან	არ წახვიდე
ზაფხული	წახვედი
სტუმრები	მიდიან
კინოში	გელოდები
უნივერსიტეტიდან	გავდივართ

დაიხსომეთ ფრაზები:

1. შორი გზა მოიარე, შინ მშვიდობით მიდიო!
2. მალე გაზაფხული მოვა.
3. ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო!
4. ქათამმა წყალი დალია და მაღლა აიხედაო.
5. მიდის, მოდის, იქვე დგას.

XV თემა. უარყოფის ფორმები ქართულში: არავინ - ვერავინ - ნურავინ ....

1. **უარყოფის ფორმათა სისტემატური ანალიზი**

არავინ -არავის; ვერავინ -ვერავის; ნურავინ-ნურავის; **არაფერი -არაფერს- არაფრის; ვერაფერი -ვერაფერს- ვერაფრის;** **ნურაფერი-ნურაფერს-ნურაფრის;**
არსად - ვერსად -ნურსად; **არასოდეს -ვერასოდეს - ნურასოდეს**

დაიხსომეთ! ორმაგი უარყოფა ასე გამოიხატება:

ნაცვალსახელები:	**ზმნიზედები:**	**უარყოფითი ნაწილაკები:**
არავინ, არაფერი, ვერავინ, ნურავინ	არსად, ვერსად, არასოდეს, ვერასოდეს, ნურასოდეს	არავინ არ, ვერავინ ვერ, ნურავინ ნუ, არსად არ, ვერსად ვერ, ნურსად ნუ, არასოდეს არ, ვერასოდეს ვერ, ნურასოდეს ნუ...

- ოთახში **არავინ** არ არის (**არავინ** - ადამიან-**ი,** სტუდენტ-**ი).**
- **არავინ** იცის, რა მოხდება ხვალ (**არავინ** - ადამიან-**მა,** კაც-**მა**).
- დღეს **არავის** არ ველოდები (**არავინ** - ადამიან-**ს**, ამხანაგ-**ს**).
- **არავის** ნათქვამი არ გაიგონა (**არავის** - ადამიან-**ის,** კაც-**ის**).
- **ვერავინ** ვერ მოვიდა უნივერსიტეტში (**ვერავინ** - სტუდენტ-**ი,** ლექტორ-**ი).**
- **ვერავის** ვერ ვუთხარი ჩემი სათქმელი (**ვერავის** - ადამიან-**ს**, ამხანაგ-**ს**).
- **ნურავინ** შეეცდება ტყუილის თქმას(**ნურავინ** - ადამიან-**ი,** სტუდენტ-**ი).**
- **ნურავის ნურაფერს** ნუ ეტყვით (**ნურავის ნურაფერს** - ადამიან-**ს** ამბავ-**ს).**

- **არაფერი** არ მოიტანო, გთხოვ!(**არაფერი** - ამბავ-**ი,** ნივთ-**ი).**
- **არაფერს** არ ვეტყვი, გპირდები! (**არაფერს** - ამბავ-**ს).**
- **არაფრის** მოსმენა არ უნდა (**არაფრის** - ამბ-**ის).**
- **ვერაფერი** ვერ გავიგე (**ვერაფერი** - ამბავ-**ი).**

- ამის შესახებ **ვერაფერს** ვერ გეტყვით (**ვერაფერს** - ამბავ-**ს**).
- **ვერაფრის** თქმა ვერ მოასწრო (**ვერაფრის** - ამბ-**ის**)

- **არსად** ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში.
- ამ ზაფხულს **ვერსად** ვერ მოვდივარ.
- სახლში დარჩი, **ნურსად** ნუ წახვალ!
- **არასოდეს** მიფიქრია სხვა ქვეყანაში ცხოვრება.
- ამას **ვერასოდეს** წარმოვიდგენდი .
- **ნურასოდეს** ნუ იტყვი ტყუილს!

2. ვალდებულებისა და მოვალეობის მოდალობის გამოხატვა

ვალდებულება-მოვალეობას გამოხატავს **უნდა** ზმნა.



- ნინომ დავალება **უნდა დაწეროს!**
- პრეზენტაცია **უნდა მოამზადოთ!**
- საბაკალავრო ნაშრომები დროულად უნდა წარმოადგინოთ!
- შეხვედრაზე მშობლები **უნდა მოვიწვიოთ!**
- ეს საქმე კარგად **უნდა გავაკეთო!**
- დაბადების დღისთვის ლამაზი ტორტი **უნდა ვიყიდოთ!**
- საღამოობით ბულვარში **უნდა ვისეირნოთ!**
- თუ რაიმე გაწუხებთ, ექიმთან **უნდა წახვიდეთ!**
- რექტორთან შეხვედრაზე რა საკითხზე **უნდა ისაუბროთ?**
- ყველასთან **უნდა იმეგობროთ!**

3. ნომინატიურ-ერგატიული კონსტრუქციები და და მათი შეპირისპირებითი ანალიზი



- **შემოდგომა** დადგა.
- **ზღვა** ღელავს.
- **ბავშვ-ი** ტირის.



- **მზე-მ** წითლად გამოანათა.
- **ჩიტ-მა** იჭიკჭიკა.
- **ბავშვ-მა იტირა.**

- **დედაჩემ-ი** ახალ კაბას იკერავს
- **მასწავლებელ-ი** თემებს ასწორებს.
- **ბებია** სადილს ამზადებს.
- **დედა** შვილს ეფერება
- **დედა** შვილს მოეფერა.

ის, მას

- **დედაჩემ-მა** ახალი კაბა შეიკერა.
- **მასწავლებელ-მა** თემები გაასწორა.
- **ბებია-მ** სადილი მოამზადა.
- **მეთევზე-მ** თევზი დაიჭირა.
- **ზღვა-მ** მკვდარი დელფინი გამორიყა.

მან, ის

- **მასწავლებელ-ი** თამარს ,,ფრიადს'' უწერს.
- **გიორგ-ი** მამას წერილს სწერს.
- **ბაბუა** ყვავილებს წყალს უსხამს.
- **მამა** ჩემს ძმას წიგნს **მოატანინებს.**
- **ლექტორ-ი** სტუდენტს პროექტს **გააკეთებინებს.**

ის, მას, მას

- **მასწავლებელ-მა** თამარს ,,ფრიადი'' დაუწერა.
- **გიორგი-მ** მამას წერილი მისწერა.
- **ბაბუა-მ** ყვავილებს წყალი დაუსხა.
- **მამა-მ** ჩემს ძმას წიგნი **მოატანინა**.
- **ლექტორ-მა** სტუდენტს პროექტი **გააკეთებინა.**

მან, მას, ის

4. ტექსტები, სიტუაციური სავარჯიშოები,დიალოგები.

1. წაიკითხეთ ტექსტი, გახაზეთ უარყოფის გამომხატველი ფორმები და აღნიშნეთ, უარყოფა რითაა გადმოცემული!

მასპინძლები

ზაფხული დადგა. მეგობრებმა გადავწყვიტეთ სადმე ერთად წავსულიყავით. ყინწვისი ავირჩიეთ. მართლაც წავედით. ნინომ თქვა: მე ყინწვისის გზა არ ვიცი, არც არავის ვიცნობ, იქნებ ვინმე დავიხმაროთო. სოფლის შუაგულში ბიჭები შეგროვილიყვნენ. მაშინვე მიხვდნენ, იქაურები რომ არ ვიყავით. დახმარება ხომ არ გჭირდებათო? ნურაფრის ნუ მოგერიდებათო- გვითხრეს. ჩვენც დავეთანხმეთ და ვუთხარით: ამ მხარეში არასოდეს ვყოფილვართ, კარგი იქნება, თუ მასპინძლობას გაგვიწევთო. ჩვენმა ახალმა მეგობრებმა თავი არ დაზოგეს, ყველაფერი დაგვათვალიერებინეს. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ასეთი სილამაზე არსად და არასოდეს არ გვენახა. დრო კარგად გავატარეთ. ყველას ვურჩევთ: ისეირნეთ სუფთა ჰაერზე, ნურასოდეს ნუ დაგეზარებათ ქალაქგარეთ გასვლა, ასეთ სიამოვნებას ვერსად ვერ მიიღებთ.

2. წაიკითხეთ ტექსტი, გამოიყენეთ „უნდა" ფორმა და შესაბამისად გადააკეთეთ!

კეთილი მეზობლები

პატარა ნიკოს დედა ავად გაუხდა. ოჯახს ნიკოს მეტი დამხმარე არავინ ჰყავდა. საბრალო ბიჭი დედასაც უვლიდა, სკოლაშიც დადიოდა და სახლის საქმეებსაც უძღვებოდა. ეცოდებოდა ავადმყოფ დედას ნიკო, სულ ეუბნებოდა: შვილო, გეყოფა, დაისვენე, მე არაფერი მიჭირსო. ნიკოს ამის გაგონებაც კი არ უნდოდა, თავს არ ზოგავდა. ნიკოს საქციელი მეზობლებს მოსწონდათ, ცდილობდნენ ბიჭი სკოლაში გაეშვათ და მისი ავადმყოფი დედისთვის მოევლოთ. ზოგს ხილი მოჰქონდა, ზოგს - სადილი. მეზობლები დედას ეუბნებოდნენ: უნდა იცოდე, როგორი სანაქებო შვილი გყავსო. დედაც სიხარულით ივსებოდა და სიამაყით უსმენდა მათ. რაც დრო გადიოდა, ნიკო უფრო ბევრ საქმეს აკეთებდა, თავი დიდად წარმოედგინა, უხაროდა დედაზე რომ ზრუნავდა და ცდილობდა, კარგი სწავლით კეთილი მეზობლებისთვის მადლობა გადაეხადა.

ნიმუში: საბრალო ბიჭს დედისთვის **უნდა მოევლო.**

სავარჯიშო-1. მოცემულ წინადადებებში ჩასვით შესაბამისი უარყოფის აღმნიშვნელი ფორმები: არსად, ვერავინ, ვერაფერი, ვერავის, ვერასდროს, არავინ, ნურსად, არაფერი, ნურავინ, არასდროს

1. ამდენი ხანია გეძახით და ----------გაგაგონეთ.
2. ---------- არ მეჩქარება, დაგელოდები.
3. ამ საქმის გაკეთებას ---------- ვერ დავავალებ.
4. დრო ---------- არ მყოფნის.
5. უნივერსიტეტში დღეს ---------- ვერ ვნახე.
6. გელათის ნახვა ----------ვერ მოვახერხე.
7. გაკვეთილი ----------არ იცოდა.
8. უჩემოდ---------- ნუ წახლათ.
9. ---------- გაბედავს ლექციაზე დაგვიანებას.
10. გაზეთებში ----------სიახლე არ არის.

დიალოგები:

-ეზოში ვინ იყო?

- ..... არ ყოფილა.

-რას იტყვი ახალი ფილმის შესახებ?

- ..... ჯერ არ მინახავს.

-სად გინდა რომ იცხოვრო?

- ..... , სხვაგან ვერ წარმომდგენია ცხოვრება.

-ბავშვებმა შეამჩნიეს დაგვიანებთ რომ მიხვედი?

- ..... ვერ შეამჩნიეს.

- ..... შეგაშინებს, შენს გვერდით ვარ.

- არც მეშინია.

- პარიზში ყოფილხარ?

- ..... არ ვყოფილვარ.

- რა განერვიულებს?

- ..... წავიკითხე და ნიშანსაც ვერ მივიღებ

- ხმაური გავიგონე. ნეტა რა მოხდა?

- მე ..... გამიგონია, ალბათ მოგესმა.

სავარჯიშო: ჩასვით სახელები და ზმნები სათანადო ფორმებში!

ნიმუში: ნინომ კარგად **უნდა ისწავლოს ! (ნინო, სწავლა)**

1. ხვალ ---------- ადრე უნდა ---------- (გიორგი, ადგომა);
2. საქართველოს ---------- აუცილებლად უნდა ----------(ნაკრები, მოგება);
3. ----------გამარჯვებას რომ მიაღწიო, კარგად უნდა ----------(თამარი, მღერა);
4. ----------სიმართლე უნდა ---------- (ადამიანი, თქმა);
5. კეთილმა ---------- დიდხანს უნდა ----------(ადამიანები, ცხოვრება);
6. ხვალ----- სოფელში უნდა ---------- და ---------- (მე, წასვლა, მუშაობა);
7. იცოდეთ, ბევრი უნდა ---------- და გამოცდა კარგად ---------- (მეცადინეობა, ჩაბარება);
8. ისე უნდა ----------, ---------- ----------(ცხოვრება, ყველა, მოგონება);
9. ---------- კონფერენცია უნდა ----------(სტუდენტები, ჩატარება);
10. თუ ---------- ავადაა, უნდა ---------- (დედა, მკურნალობა);

დაიხსომეთ ფრაზები:

1. თავს ნუ მოიტყუებ!
2. მასწავლებელს ყველა ბავშვი შვილივით უყვარს.
3. დაიცავი ქუჩაში მოძრაობის წესები!
4. ნუ მოაკლებთ ქალებს ყურადღებას!
5. ადრე თუ ადგები, ბევრ საქმეს გააკეთებ.

საჭირო ფრაზები

1. გრძელი ზამთრის შემდეგ გაზაფხული მოდის.
2. გაზაფხულის მოსვლას მოუთმენლად ველოდები.
3. მერცხალი, ია და ენძელა გაზაფხულის სიმბოლოებია.
4. გაზაფხულზე მერცხლები თბილი ქვეყნებიდან ბრუნდებიან.
5. გაზაფხულზე დღე დიდდება, ღამე მოკლდება.
6. გაზაფხულზე ამინდი თბილია, მზე უფრო ანათებს.
7. გაზაფხულზე ბუნება იღვიძებს, ხეები მწვანდებიან, ყვავილები ამოდიან.
8. გაზაფხული განსაკუთრებით ლამაზია სოფელში.
9. უფროსები ყანაში მუშაობენ, მიწას დასათესად ამზადებენ.
10. ქალები ბოსტანში მუშაობენ, თესავენ, რგავენ.
11. ბავშვები უფროსებს ეხმარებიან, თან ერთობიან, მღერიან, ცეკვავენ.
12. ჩვენი ეზო დიდი და ლამაზია.
13. ეზოში არის: სკამები, მაღალი ხეები, ყვავილები.
14. ბავშვები ეზოში თამაშობენ, ერთობიან, მღერიან, ცეკვავენ.
15. უფროსები ეზოში სხდებიან, საუბრობენ, გაზეთს კითხულობენ.
16. მარტი, აპრილი, მაისი გაზაფხულის თვეებია.
18. რვა მარტი ქალთა საერთაშორისო დღეა.
19. მამაკაცები ქალებს ყვავილებს ჩუქნიან.
20. ნუ მოაკლებთ ქალებს ყურადღებას!
21. მიულოცეთ ასე: ,,გილოცავთ რვა მარტს, იყავით ლამაზი და ბედნიერი''.
22. დედა ამ ქვეყნად ყველაზე საყვარელია.
23. გიყვარდეთ დედა, სამშობლო და მშობლიური ენა.
24. ენა საკომუნიკაციო საშუალებაა.
25. ენის საშუალებით ადამიანები ერთმანეთს აგებინებენ.
26. ენა დედასავით საყვარელია, ამიტომ ჰქვია მშობლიურ ენას დედა-ენა.
27. რამდენი ენა იცი, იმდენი კაცი ხარ.
28. ქართული ჩემთვის მეორე ენაა.
29. მე მიყვარს საქართველო და ქართული ენა.
30. ინგლისური საჭირო ენაა.
31. ხვალ, ხვალის შემდეგ ანუ ზეგ.
32. რომელი რიცხვი მოდის ათის შემდეგ?
33. რომელი რიცხვი უსწრებს ათს?
34. რომელი დრო მოდის გაზაფხულის შემდეგ?
35. რომელი დრო უსწრებს გაზაფხულს?
36. რის შეკვეთა გნებავთ?
37. ჰავა საქართველოში ერთნაირი არ არის.
38. ნიადაგი საქართველოში ძალიან ნოყიერია.
39. მტკვარი სათავეს თურქეთში იღებს.

40. ოჯახი ჩემთვის ძვირფასია.
41. სიყვარული ალამაზებს ადამიანებს.
42. მეგობრობა საუკეთესო გრძნობაა.
43. უსწავლელი ადამიანი ცოდვაა.
44. სწავლა სიბერემდე შეიძლება.
45. წელიწადის ყველა დრო ლამაზია.
46. ვარდი ყვავილების დედოფალია.
47. ენძელა გაზაფხულის მოსვლას გვამცნობს.
48. სიზარმაცე ცუდი თვისებაა.
49. ბათუმი ძალიან ლამაზი ქალაქია.
50. შავი ზღვა დიდია .
51. მე მიყვარს ჩემი უნივერსიტეტი.
52. მინდა, ყველა ბავშვი ბედნიერი იყოს.
53. დედაჩემი და ოჯახი მენატრება.
54. ზაფხულში არდადეგები დაიწყება.
55. მალე გაზაფხული მოვა.
56.ზამთარი წელიწადის დროა.
57. ბათუმში ზამთარი მკაცრი არაა.
58. კომპიუტერი აუცილებლად მჭირდება.
59. სიგარეტი მავნეა ჯანმრთელობისათვის.
60. აღდგომა დიდი დღესასწაულია.
61. ბათუმი აჭარის ულამაზესი ქალაქია.
62. თბილისი საქართველოს დედაქალაქია.
63. მეგობრებო, გაუღიმეთ ერთმანეთს!
64. სიცილი ჯანმრთელობაა.
65. ყველა ქალი მომხიბვლელია.
66. ბუნება საინტერესო რამ არის.
67. დარს ავდარი მოსდევს?
68. რომელია შინაური ფრინველები?
69. შავი ზღვა მართლა შავია?
70. ლომი ცხოველების მეფეა.
71. მარტის ბოლოს წვიმიანი ამინდებია .
72. ფეხბურთი საინტერესო სპორტია.
73. ჭადრაკი საინტერესო სპორტია.
74. ზარმაცისთვის ყველა დღე დასვენებაა.
75. ქართველებს უყვართ ხალხური სიმღერები და ცეკვები.
76. საქართველოო ლამაზო, სხვა საქართველო სად არის?
77. მერცხალს გაზაფხული მოჰყავს.
78. თავისუფალი ადამიანი ბედნიერია.
79. ქართული სიმღერა საინტერესოა.

80. მსოფლიო ხალხებს არ უნდათ ომი.
81. ბულბული მგალობელი ფრინველია.
82. კარგი მეზობელი ნათესავზეა უკეთესია.
83. დედისთვის შვილი ყოველთვის პატარაა.
84. აჭარა საქართველოს ულამაზესი კუთხეა.
85. აჭარა სუბტროპიკული ზონაა.
86. ვაჟა-ფშაველა მთების შვილია.
87. დროს უნდა დაეწიო.
88. ქართველებს კარგი სიმღერები აქვთ.
89. დღეები სწრაფად მირბის.
90. მიართვით საყვარელ ადამიანს ვარდი!
91. ზაფხულში ზღვაზე დავისვენებ.
92. ჩემს მომავალზე ბევრს ვფიქრობ.
93. თეთრი ფერი სისუფთავის მაჩვენებელია.
94. ბავშვობა საუკეთესო პერიოდია.
95. ახალი წელი განსაკუთრებულად მიყვარს.
96. ენას კბილი დააჭირე !
97. იყავი კეთილი ადამიანი!
98. სიყვარული ალამაზებს ადამიანს.
99.მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, ვინ ხარ შენ.
100. ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყოო.
101. ცურვა ადამიანისთვის სასარგებლოა.
102. დეიდა დედასავით საყვარელია.
103. ნუ მოაკლებთ ბავშვებს ყურადღებას.
104. ცოდნა ყველაზე დიდი სიმდიდრეა.
105. ტყუილი დანაშაულია.
106. ცეცხლთან თამაში არ შეიძლება.
107. ადრე თუ ადგები, ბევრ საქმეს გააკეთებ.
108. დღე გაატარე ხალისიანად.
109. რომელია შენი ოცნების ქალაქი?
111. სად გინდა მოგზაურობა?
112. რა არის შენი ჰობი?
113. მე მიყვარს კლასიკური მუსიკა.
114. მე მიყვარს ხალხური მუსიკა.
115. კითხვა ჩემთვის სიამოვნებაა.
116. ტყუილს მოკლე ფეხი აქვს.
117. ყველა სპეციალობა კარგია.
118. ექიმობა ძნელი, მაგრამ საჭირო სპეციალობაა.
119. მასწავლებლობა რთულია.
120. მასწავლებელი ყველა ვერ იქნება.

121. წიგნი ცოდნის დედაა.
122. იყავი წარმატებული სტუდენტი.
123. მადლი ჰქენი, ქვაზე დადე, გაიარე, წინ დაგხვდება.
124. შენი ცოდნა შენს ქვეყანას გამოადგება.
125. იყავი ბეჯითი და გქონდეს სმენა.
126. გულით გიყვარდეს სამშობლო ენა.
127. მზე დედამიწას ათბობს.
128. ზარმაცები ღმერთს არ უყვარს.
129. ფუტკარი მუშა მწერია.
130. შრომა უხდება ადამიანს.
131. შრომამ შექმნა ადამიანი.
132. არწივი ფრინველთა მეფეა.
133. ვაშლი სასარგებლო ხილია.
134. ძაღლის შვილს ლეკვი ჰქვია.
135. კატის შვილს კნუტი ჰქვია.
136. დათვის შვილს ბელი ჰქვია.
137. მგლის შვილს ლეკვი ჰქვია.
138. ლომის შვილს ბოკვერი ჰქვია.
139. ძროხის შვილს ხბო ჰქვია.
140. ღორის შვილს გოჭი ჰქვია.
141. ქათმის შვილს წიწილა ჰქვია.
142. ინდაურის შვილს ჭუკი ჰქვია.
143. კამეჩის შვილს ზაქი ჰქვია.
144. თხის შვილს თიკანი ჰქვია.
145. ვირის შვილს ჩოჩორი ჰქვია.
146. ცხვრის შვილს ბატკანი ჰქვია.
147. ადამიანს ხუთი გრძნობა აქვს: მხედველობა, სმენა, ყნოსვა, გემო, შეხება.
148. თვალი მხედველობის ორგანოა.
149. ყური სმენის ორგანოა.
150. ცხვირი ყნოსვის ორგანოა.
151. თვალებით ვხედავთ, ყურებით ვისმენთ.
152. ადამიანი მეტყველი არსებაა.
153. ცხოველი უტყვი არსებაა.
154. მჩხავანა კატა თაგვს ვერ დაიჭერს.
155. თაგვმა თხარა, თხარა და კატა გამოთხარაო.
156. გაზაფხულის სითბომ დედამიწა გაათბო.
157. ძაღლი ადამიანის მეგობარია.
158. ცხენი გონიერი შინაური ცხოველია.
159. რძე, ყველი, კარაქი, ხაჭო, არაჟანი რძის პროდუქტებია.
160. ცისარტყელა სხვადასხვა ფერისაა.

161. ყველაზე მეტად რომელი ფერი გიყვართ?
162. ცა ცისფერია, ზღვა ლურჯია.
163. ოფთალმოლოგი თვალის ექიმია.
164. სტომატოლოგი კბილის ექიმია.
165. კარდიოლოგი გულის ექიმია.
166. პედიატრი ბავშვთა ექიმია.
167. გაზაფხულის შემდეგ ზაფხულია.
168. ზაფხულში ჩემს ამხანაგებთან ერთად მთაში წავალ.
169. საქართველოში გაზაფხული ძალიან ლამაზია.
170. ჩვენს კურსზე ბეჯითი სტუდენტები არიან.
171. უნივერსიტეტის წინ ახალგაზრდობის პარკია.
172. ისეირნეთ სუფთა ჰაერზე!
173. წამლები აფთიაქში იყიდება.
174. გაზაფხულზე ბევრი ხილი მოდის: მარწყვი, ბალი, ატამი, ალუჩა, მსხალი.
175. მე ყველაფერს ხარისხიანად ვაკეთებ.
176. სიმართლის თქმას არაფერი სჯობს.
177. ჩვენ სახლში გვყავს შინაური ცხოველები: ძაღლი, ძროხა, კატა, თხა.
178. ჩვენ მეგობრები ვართ.
179. მე მყავს მშობლები.
180. მას სახლში ჰყავს შინაური ფრინველები: ქათამი, მამალი, ინდაური.
181. ჩვენი სტუმრები ამერიკელები არიან.
182. ბათუმი წვიმიანი ქალაქია.
183. ქუთაისი ძველი ისტორიული ქალაქია.
184. ამასია ისტორიული ქალაქია.
185. თბილისი მე-5 საუკუნეში დაარსდა.
186. თვითმფრინავის ბილეთები წინასწარ შეუკვეთეთ.
187. პირველი ივნისი ბავშვთა დაცვის დღეა.
188. პიცის შეკვეთა მინდა.
189. ცეროდენა სტუდენტური კაფეა.
190. დიდი ხნის წინათ დაკარგული ნივთი ვიპოვე.
191. გაგზავნეთ მოკლე ტექსტური შეტყობინება.
192. გაზაფხულზე ამინდი თბილია, მზე ანათებს.
193. ბათუმი საპორტო ქალაქია.
194. ბათუმი სიყვარულის ქალაქია.
195. ტრაპიზონი საპორტო ქალაქია.
196. ცივ ზამთარში მდინარეები იყინება.
197. გაზაფხულის სითბომ დედამიწა გააღვიძა.
198. სტამბოლი მსოფლიოში ერთ-ერთი დიდი ქალაქია.
199. ნახჭევანი ბათუმთან დამეგობრებული ქალაქია.
200. სიცხეში ბევრი წყალი დალიეთ!

201. მეგობარს ნუ დაკარგავ!
202. მოხუცების მიმართ იყავით ყურადღებიანი!
203. დაიცავი ქუჩაში მოძრაობის წესები!
204. ,,კარგი შვილი დედის გულის ვარდიაო''.
205. სტუდენტობა ყველაზე ლამაზი დროა.
206. მასწავლებელს ყველა ბავშვი შვილივით უყვარს.
207. მიირთვით ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი!
208. საჩუქრის შერჩევაში დამეხმარებით?
209. დაბადების დღეზე სტუმრებს ველოდები.
210. საზეიმო სუფრა დედამ და ბებიამ გაშალეს.
211. დაბადების დღეზე დედამ ტორტი გამოაცხო.
212. კლასიკური მუსიკა მიყვარს.
213. ჩვენს ოჯახში სტუმრები ხშირად მოდიან.
214. სტუმრებს ჩაი მივართვით.
215. ხორციანი კერძები მიყვარს.
216. სტუმრები სუფრასთან მივიპატიჟეთ.
217. ბათუმში ბევრი კარგი რესტორანია.
218. სტუმრები ,,აჭარულ სახლში'' დავპატიჟეთ.
219. მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო.
220. ნუ მოიმატებ ზედმეტად წონაში!
221. ხორცს დანა-ჩანგლით ვჭამთ.
222. წვნიანს კოვზით ვჭამთ.
223. წყალს ჭიქით ვსვამთ.
224. მიყვარს ჩემი პროფესია.
225. მანქანით მგზავრობა მიყვარს.
226 . ხელებს საპნით ვიბანთ.
227. სახლის დალაგება ძალიან მიყვარს.
228 . უნივერსიტეტში ზოგჯერ ფეხით, ზოგჯერ ავტობუსით მივდივარ.
229. ტელევიზორის ყურებით ვერთობი.
230. სწავლა სინათლეა, უსწავლელობა-სიბნელე.
231. მიწის სურნელი მიყვარს.
232. თურქეთი საქართველოს მეზობელი ქვეყანაა.
233. თბილისი აღმოსავლეთ საქართველოშია.
234. ბათუმი დასავლეთ საქართველოშია.
235. რომელია საქალაქო ტრანსპორტი?
235. რომელია სანაპიროზე სასეირნო ტრანსპორტი?
236. რომელია საჰაერო ტრანსპორტი?
237. რომელია საზღვაო ტრანსპორტი?
238. რომელია მიწისქვეშა ტრანსპორტი?
239. რომელია სარკინიგზო ტრანსპორტი?

240 ყველაზე მეტად რით მგზავრობენ?
241. რომელია სასწავლო ნივთები?
242 .რომელია სამზარეულოს ჭურჭელი?
243. როდის ყინავს?
244. როდის გრიალა?
245. როდის თბილა?
246. როდის ცხელა?
247. რამდენი კიდური აქვს ადამიანს?
248. რამდენი ზედა კიდური გაქვთ?
249. რამდენი ქვედა კიდური გაქვთ?
250. მძღოლს მგზავრები რით გადაჰყავს?
251. რა ფორმისაა დედამიწა?
252. რომელია სასკოლო ავეჯი?
253 . რომელია სამზარეულოს ავეჯი?
254. რომელია მისაღები ოთახის ავეჯი?
255. რომელია საძინებელი ოთახის ავეჯი?
256 . რამდენი კონტინენტია დედამიწაზე?
257. რომელია ყველაზე დიდი კონტინენტი?
258. რომელია ყველაზე პატარა კონტინენტი?
259. რომელია ყველაზე ცივი კონტინენტი?
260 . რომელია ყველაზე თბილი კონტინენტი?
261. ჩვენ რომელ კონტინენტზე ვცხოვრობთ?
262 . ჩაის რით ატკბობთ?
263 . ოთახს რით აგრილებთ?
264. სადილს რაში აკეთებთ?
265. ფულს რით გიგზავნიან?
266. მაღალ სართულზე რით ადიხართ?
267. კარს რით აღებთ/კეტავთ?
268. მაგიდის ჩოგბურთი სპორტის სახეობაა?
269. როგორ მუსიკას უსმენთ?
270. ფეხბურთის გუნდში რამდენი მოთამაშეა?
271. პედაგოგი მასწავლებლის სინონომია.
272. მოწაფე მოსწავლის სინონიმია.
273. ახალ ამბებს რით იგებთ?
274. რომელია წლის ყველაზე გრძელი დღე?
275. რომელია წლის ყველაზე მოკლე დღე?
276. ვინ არის დამნაშავე? (პასუხი: ვინც დანაშაულს ჩადის)
277. ვინ არის მომღერალი?(პასუხი: ვინც მღერის)
278. ვინ არის მოცეკვავე?(პასუხი: ვინც ცეკვავს)
279. კბილის ექიმი არის (დენტისტი, ოფთალმოლოგი, ნევროლოგი)

280. თვალის ექიმი არის (დენტისტი, ოფთალმოლოგი, ნევროლოგი)
281. გულის ექიმი არის: (კარდიოლოგი, ოფთალმოლოგი, ნევროლოგი)
282. რომელია საზღვაო ქალაქი? (თბილისი, ქუთაისი, ქობულეთი)
283. რომელია საპორტო ქალაქი? (ქუთაისი, რუსთავი, ფოთი)
284. რომელია დესერტი? (შემწვარი კარტოფილი, ნამცხვარი, ფლავი)
285. რომელია ზაფხულის ხილი? (მანდარინი, მარწყვი, ლიმონი)
286. რომელია შემოდგომის ხილი? (მანდარინი, ბალი, საზამთრო)
287. რომელია ყველაზე დიდი ხილი? (საზამთრო, ალუბალი, ქლიავი)
288. რომელია საწერი საშუალება? (სახაზავი, წიგნი, ცარცი)
289. რომელია წითელი ხილი? (ალუბალი, ბანანი, კივი)
290. რომელია საოჯახო ტექნიკა? (მაცივარი, დაფა, მერხი)
291. რომელია საკლასო ნივთი? (სახაზავი, ბურთი, ტელევიზორი)
292.რით იგებთ ახალ ამბავს? (ფეისბუკით, ინტერნეტით, გაზეთით)
293. ერთ მეტრში ასი სანტიმეტრია.
294. ერთ საუკუნეში ასი წელია.
295. ერთ წელში თორმეტი თვეა.
296. ერთ თვეში ოცდაათი ან ოცდათერთმეტი დღეა.
297. თებერვალი მოკლე თვეა.
298. არდადეგებზე თურქეთში წავალთ.
299. ზაფხულს ჩემს სოფელში გავატარებ.
300. მთაში და ზღვაზე დასვენება სასარგებლოა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არაბული ავთანდილ, ქართული მეტყველების კულტურა, გამომცემლობა „უნივერსალი'', 2004;
2. გოგებაშვილი იაკობ, დედა ენა ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი სახალხო შკოლებისათვის, თბილისი, 1876;
3. დავითიანი აკ., კაკაბაძე ვ., ქართული ენა, საქართველოს სსრ რუსული სკოლის მე-10 კლასისათვის, გამომცემლობა „განათლება", თბილისი, 1972;
4. დავითიანი აკ., მუშკუდიანი ვ., ქართული ენა, საქართველოს სსრ რუსული სკოლის მე-8 კლასისათვის, გამომცემლობა „განათლება", თბილისი, 1972;
5. კანდელაკი ა., ქართული ანდაზები, „საბჭოთა მწერალი", თბილისი, 1959.
6. რიდერი-,,ენის კომუნიკაციური ასპექტები 1''(ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, სომხურენოვანთათვის, აზერბაიჯანულენოვანთათვის; ქართული, როგორც მეორე ენა, თსუ), 2011;
7. როდონაია ვ., მირიანაშვილი მ., ვაშაკიძე ლ, თოფაძე ქ., დედაენა I კლასი, გამომცემლობა ,,საქართველოს მაცნე'', 2011;
8. ჩინჩალაძე მ., დვალი ს., ქართული ენა, საქართველოს სსრ რუსული სკოლის მე-9 კლასისათვის, გამომცემლობა „განათლება", თბილისი, 1973.

გამომცემლობის დირექტორი – **ნანა ხახუტაიშვილი**

გამომცემლობის რედაქტორი – **ლალი კონცელიძე**

ტექნიკური რედაქტორი – **ედუარდ ანანიძე**

ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.07.2013

ქაღალდის ზომა 60X84 1/16

ფიზიკური თაბახი 6.1

ტირაჟი 50

დაიბეჭდა უნივერსიტეტის სტამბაში

ქ. ბათუმი, ნინოშვილის 35